გაზეთი ბიჭვინთა, „ვერსიათ“ ეწოთი

ვერსია

ფასი 60 თეთრი

№99 (1125) 7 – 8 ოქტომბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ტერაქტი იგეგმება!

გვ. 2

ექსკლუზიური ინტერვიუ „ოცნების“ აღმასრულებელ მდივანთან

ვინ იქნებიან „ოცნების“ ახალი სახეები, რას პასუხობს ოპოზიციის მუქარას და როგორ ამზადებს პარტიას არჩევნებისთვის საარჩევნო შტაბის უფროსი

გვ. 3–4

ირაკლი კობახიძე: „დღეს პრეზიდენტი კოალიციისგან დისტანცირებულია, ამიტომ ვერ ჩაერთვება საარჩევნო კამპანიაში“

„ქისტები სირიაში ფულის გამო არ მიდიან“

„ჟურნალისტები იმდენს იზამენ, საყოველთაო არეულობას გამოიწვევენ“, — რას უყვებიან პანკისელები „ვერსიას“

ავტომანქანაში გაზის მონტაჟი გაძვირდება?

ახალი რეგულაცია მძღოლებსა და გაზის კომპანიებს პრობლემებს უქმნის გვ. 8

ლიბერთი ბანკმა დამსახურებული პედაგოგები დააჯილდოვა

მასწავლებელთა საერთაშორისო დღე პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში აღნიშნეს გვ. 8

პიკასო ზონაზე

პატიმრის დღიური გვ. 6

საგანგაშო სტატისტიკა — ალკოჰოლიზმი გაახალგაზრდავდა და სასმელს ქალებიც მიეძალნენ

რატომ არ აფინანსებს სახელმწიფო აღკოჰოლდამოკიდებულთა მკურნალობას და რა უნდა გაკეთდეს პრობლემის გადასაჭრელად გვ. 7

ნაციონალურ მოძრაობას მთელი ოპოზიცია გაემიჯნა!

გვ. 5

„26 მაისს ნინო ბურჯანაძესაც ეგონა, რუსთაველზე დავდგები და პარტიები მოვდენო... ასე დაემართებათ ნაციონალებსაც“

ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ტერაქტი იგეგმება!

ლაშა დვალი

22 სექტემბერს, „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ წევრმა ირაკლი ბათიაშვილმა განაცხადა, ინფორმაცია მაქვს, რომ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ტერორისტული აქტი იგეგმებაო. ზოგადად, როცა ამა თუ იმ ადამიანს დიდი გავლენა აქვს პოლიტიკაზე და პოლიტიკური ქვაკუთხედი ერთი პიროვნების გარშემო ტრიალებს, არამარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში სამიზნე ხდება. ასე იყო წინა ხელისუფლებების დროსაც და სამწუხაროდ, ტერორისტული აქტები საქართველოსთვის უცხო ხილი არ არის. მაშინ, ორიოდ კვირის წინ, ეს განცხადება თითქოს ყურად არავინ იღო, მაგრამ ბათიაშვილი არ გაჩუმდა და ჩვენ თუ გვკითხავთ, სწორადაც მოიქცა. რეალურად, ხელისუფლების უსისხლო გადაბარება 2012 წლის არჩევნებზე მოხდა, თორემ კომუნისტებმა 9 აპრილი მოგვიწყვეს, ზვიად გამსახურდიას მთავრობა სამოქალაქო ომის შედეგად გადაატრიალეს, შევარდნაძის მთავრობა საპროტესტო აქციების შედეგად წავიდა და...

ამის მიუხედავად, იმავე შევარდნაძეს რამდენჯერმე მოუწყვეს ტერორისტული აქტი და ჯერ მთავრობის მეთაურის, შემდეგ კი პრეზიდენტის რანგში, ამბროსიჩი სასწაულმა გადაარჩინა. სასწაულმა გადაარჩინა ირინა სარიშვილიც, თუმცა მაშინ ტერაქტს მისი მეუღლე, ედპ-ს ლიდერი გიორგი ჭანტურია ემსხვერპლა. გია ყარყარაშვილი და გია გულუა საზღვარგარეთ ააფეთქეს, სოლიკო ხაბეიშვილიც ტერაქტის მსხვერპლი გახდა... ბადრი პატარკაციშვილზე თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ ტერორისტული აქტი მზადდებოდა და მაშინდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, პატარკაციშვილი ისე უნდა დაღუპულიყო, როგორც ლიბანის ლიდერი რაფიკ ხარიკი... სამწუხაროდ, ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება, თუმცა აჯობებს, ისევ ბათიაშვილის განცხადებას დავუბრუნდეთ.

„დაახლოებით ორი წლის წინ გავავრცელე ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ემიგრაციაში მყოფი ყოფილი ხელისუფლების გარკვეულ წრეებში მიდიოდა ზოგადი საუბრები, ბიძინა ივანიშვილის ფიზიკური ლიკვიდაციის თაობაზე. ინფორმაცია მიღებული მქონდა აპრობირებული, სერიოზული წყაროებიდან, რომლებიც არსებობდნენ იმ პერიოდიდან, როდესაც საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის თავმჯდომარე ვიყავი. ამჟამად კი მინდა, განვაცხადო შემდეგი, რომ ემიგრაციაში მყოფი ყოფილი ხელისუფლების გარკვეულ წრეებში უკვე მიდის მუშაობა და მზადება, ბიძინა ივანიშვილის ფიზიკური ლიკვიდაციის ტერორისტულ აქტზე. ეს მუშაობა შესულია სერიოზულ ფაზაში, შეიძლება ითქვას, შერჩეულია მაღალკვალიფიციური პროფესიონალთა ჯგუფი, ვინც ორგანიზება და შესრულება უნდა გაუკეთოს საქმეს. ჩამოსულია გარკვეული ჯგუფი, რომლებმაც სიტუაცია წინასწარ უნდა დაზვერონ“, — განაცხადა ბათიაშვილმა.

რა თქმა უნდა, ბათიაშვილის განცხადება ყურადსაღებია და ეს იმის ფონზე, რომ ტერორისტული აქტის მცდელობამაც კი, შეიძლება ქვეყანაში შეუქცევადი პროცესები გამოიწვიოს და დესტაბილიზაცია დაიწყოს.

„ბიძინა ივანიშვილის ფიზიკური ლიკვიდაციის შემთხვევაში, ისედაც საკმაოდ სუსტი და მყიფე მდგომარეობაში მყოფი ხელისუფლება, ხუხულასავით დაიშლება, პარლამენტში კოალიციაც დაიშლება, ხოლო დარჩენილი მთავრობა ადვილად დასამარცხებელი იქნება, მასობრივი არეულობის ინსპირაციის ფონზე“, — აღნიშნა ბათიაშვილმა.

ის, რომ ხელისუფლება ანალოგიურ განცხადებებს უყურადღებოდ არ ტოვებს, იქიდანაც ჩანს, რომ ბათიაშვილი დაკითხვაზე უკვე ჰყავდათ და მისი ჩვენების საფუძველზე გამოძიებაც დაიწყო. რა შედეგამდე მივა გამოძიება, ძნელი სათქმელია, რადგან ასეთი ვერსიები მუდმივად იარსებებს მანამ, სანამ რომელიმე პოლიტიკური თუ აპოლიტიკური პირი ისეთივე გავლენით ისარგებლებს, როგორი გავლენითაც დღეს ივანიშვილი სარგებლობს.

„ყოველივე ამასთან დაკავშირებით, დღევანდელ ხელისუფლებას და მის ძალოვან სტრუქტურებს, სერიოზული სიფხიზლე მართებთ, მაგრამ ამ მხრივ ძალიან ცუდი მდგომარეობა გვაქვს, როგორც კომპეტენციის, ასევე საიმედოობის თვალსაზრისით, რადგანაც ძალოვანი სტრუქტურები არაკომპეტენტური და არასაიმედო კადრებითაა გაძეძგილი. კადრებით, რომლებიც საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე იყვნენ წინა რეჟიმის დროს კუდ-ში და სოდ-ში და დღესაც საკვანძო თანამდებობები უკავიათ. ზოგიერთი მათგანი კი კვლავაც ლოიალობით გამოირჩევა ყოფილი ხელისუფლების მიმართ. მინდა გითხრათ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროდან და უშიშროების სამსახურიდან ინფორმაცია ყოველდღიურად წყალივით გადის. მიუხედავად ამისა, უნდა გაკეთდეს ყველაფერი, რათა ქვეყანაში დესტაბილიზაცია ავიცილოთ“, — დაამატა ბათიაშვილმა.

ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერები თუ მეხოტბეები, ძალოვანი სტრუქტურების გარდა, სხვა სამსახურებშიც მრავლად არიან. ექსპერტთა ვარაუდით, საჭიროების შემთხვევაში, ეს ადამიანები საბოტაჟზე უარს არ იტყვიან და ეს საჭიროება შესაძლოა სწორედ მაშინ დადგეს, როცა რაიმე ფაქტი დესტაბილიზაციას გამოიწვევს. დესტაბილიზაციისთვის კი აღნიშნული ტერაქტი (ან მისი განხორციელების მცდელობა მაინც) საუკეთესო საშუალება იქნება. სწორედ ეს უნდა გაითვალისწინონ ძალოვანი უწყებების თანამშრომლებმა და სწორედ ამაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი.

საინტერესოა, რომ ბათიაშვილი ხელს უკრაინისკენ არ იშვერს, აცხადებს, რომ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნები სხვა ქვეყნებშიც არიან და არ არის აუცილებელი, ტერორისტული აქტის მსურველნი მაინცდამაინც უკრაინაში ვეძებოთ. რეალურად, წინა ხელისუფლების ე.წ. ისპალნიტელები, მეგის ქარდავა, დათა ახალაია, ალექსანდრე მუხაძე და სხვები, არა უკრაინაში, არამედ რუსეთში, საფრანგეთსა და საბერძნეთში არიან. მთავარი კი ის არის, რაც ბატონმა ირაკლიმ ბოლოს თქვა: **„სულ ასე ხდება. თითქოს ყველაფერი მშვიდად არის, საფრთხე არსაიდან ჩანს, შემდეგ კი მოულოდნელად ხდება აფეთქება და უმართავი პროცესები იწყება...“**

6-7 ოქტომბერს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები გაიმართება

6-7 ოქტომბერს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 33-ე რაუნდი გაიმართება. საქართველოს დელეგაცია ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში კონსტრუქციულ მონაწილეობას განაგრძობს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერ დავით კერესელიძის განცხადებით, ამ თვალსაზრისით, დადებითი პრეცედენტები უკვე შეიქმნა წინა რაუნდებზე: **„ტრადიციულად, ქართული მხარე დააყენებს რუსეთის მიერ ძალის არგამოყენების შესახებ ვალდებულების აღების, ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების აუცილებლობის საკითხს. მიმდინარე რაუნდზე საქართველოს დელეგაცია განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს გალის რაიონში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს. ქართული მხარე ყველა ღონეს იხმარს, რათა სათანადო ზომები მივიღოთ, იქ მცხოვრები მოსახლეობისათვის მშობლიურ ენაზე განათლებისთვის“.**

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის წარმომადგენლები, ჟენევის მოლაპარაკებების მორიგ რაუნდზე კვლავ საქართველოს მხრიდან ცეცხლის გამოუყენებლობის საკითხს დააყენებენ.

კონფლიქტის დარეგულირების საკითხში ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ე.წ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა მურატ ჯიოევმა განაცხადა, რომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დოკუმენტის ხელმოწერა, ჟენევის მოლაპარაკებების დროს, კვლავ პრიორიტეტული საკითხია.

ამასთან, შეხვედრაზე მხარეები განიხილავენ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და დაპატიმრებულთა საკითხს.

ჟენევის მოლაპარაკებები რუსეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტების შეთანხმების საფუძველზე იმართება, ევროკავშირის, გაერო-სა და ეუთო-ს ეგიდით. მასში ოკუპირებული ტერიტორიების, საქართველოსა და აშშ-ს დელეგაციები მონაწილეობენ.

„პირველი“

თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა თანამდებობა დატოვა

თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა, გეგი ნიჟარაძემ თანამდებობა დატოვა. მერიის პრესსამსახურის განმარტებით, ნიჟარაძემ ეს გადაწყვეტილება საკუთარი სურვილით მიიღო. **„ჯერჯერობით ვერ გეტყვით, ვინ დაიკავებს ამ თანამდებობას. მისი შემცვლელი უახლოეს ხანში დასახელდება“**, — აცხადებენ მერიის პრესსამსახურში.

თბილისის მერიაში რამდენიმე სამსახურის უფროსის თანამდებობაა ვაკანტური. მათ შორის, არქიტექტურის, კეთილმოწყობის სამსახურების და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობები.

გეგი ნიჟარაძე თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს 2014 წლის აგვისტოდან ხელმძღვანელობდა.

„პირველი“

ვერსიანიუსი

თბილისობის ტრადიციული დღესასწაული 17-18 ოქტომბერს გაიმართება

თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, თბილისობის ღონისძიებასთან დაკავშირებით, ცალკეული მომსახურეობის საფასურის ზრდის გამო, დედაქალაქის ბიუჯეტი გაიზარდა.

დედაქალაქის მერის განცხადებით, თბილისობის დღესასწაულის პროგრამა საზოგადოების ფართო ჩართულობით გაკეთდა: **„17-18 ოქტომბერს თბილისობის ტრადიციული დღესასწაული გაიმართება. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დღესასწაული და, შესაბამისად, საინტერესო პროგრამა გავაკეთეთ, საზოგადოების ფართო ჩართულობით. ღია კონკურსი გვქონდა გამოცხადებული და საუკეთესო წინადადებები იქნა შერჩეული. გასართობი ღონისძიებები იქნება როგორც პატარებისთვის, ასევე დიდებისთვის. ძირითადი აქცენტი თბილისის, როგორც ეკოლოგიურად მდგრადი, სუფთა და მწვანე ქალაქის კონცეფციიდან იქნება აღებული. საკმაოდ ბევრს სტუმარს ველოდებით როგორც საქართველოდან, ასევე უცხოეთიდან. ხარჯთაღრიცხვა უკვე დაწყებულია, გავლილია ძირითადი მიმართულებები. ჯამური ბიუჯეტი 977 ათას ლარს შეადგენს. ცალკეული მომსახურეობების საფასური გაზრდილია, რამაც გამოიწვია ბიუჯეტის ზრდა“.**

„პირველი“

ექსკლუზიური ინტერვიუ „ოცნების“ აღმასრულებელ მდივან ირაკლი კობახიძესთან

ვინ იქნებიან „ოცნების“ ახალი სახეები, რას პასუხობს ოპოზიციის მუქარას და როგორ ამზადებს პარტიას არჩევნებისთვის საარჩევნო შტაბის უფროსი

ნინო კომახიძე
599-95-33-16

პრეზიდენტი საარჩევნო კამპანიაში ვერ ჩაერთვება, რადგან იგი „ოცნებისგან“ დისტანცირებულია, ოპოზიციის მოქმედებები და აქციები კოალიციის გეგმებში გარდატეხას ვერ შეიტანს, ნაციონალების გამარგინალება გარდაუვალია და ეს აქციების ტალღაც სწორედ ამას ნიშნავს, საგარეჯო არც „სახიდაშელო“ გახდება და მით უმეტეს, არც — „საირმე“... ეს პარტია „ოცნების“ აღმასრულებელი მდივნისა და საარჩევნო შტაბის უფროსის, ირაკლი კობახიძის შეფასებებია. პარტიაში მის მისვლას „ოცნებაში“ დიდი ცვლილებების დაანონსება მოჰყვა. სად არის დაპირებული ცვლილებები, ვინ იქნებიან „ოცნების“ ახალი სახეები და რას პასუხობს ნაციონალების მუქარას — „ვერსიას“ ვრცელ ექსკლუზიურ ინტერვიუს ირაკლი კობახიძე აძლევს.

— დავით საგანელიძისა და კახა კალაძის შემდეგ, „ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი შუალედურ არჩევნებზე თქვენ ხართ. 2016 წელსაც მოიაზრებთ თავს ამ პოსტზე?

— მიზანშეწონილად ჩაითვალა, შუალედური არჩევნებისთვის ამ პროცესს მე გავძღოლოდი, 2016 წლის არჩევნები კი სხვა საკითხია. ჯერჯერობით, ამაზე არ გვიმსჯელია.

— იმედია, არ მეტყვით, თითქოს საპარლამენტო სიებზეც არ დაწყებულა მსჯელობა, რადგან პარლამენტში ამაზე უკვე ღელავენ და საუბრობენ. რა იცვლება სიებში, საერთოდ, სად არის ის დაპირებული ცვლილებები, ახალი სახეები და მიდგომები, ჯანყარაშვილის ჩანაცვლების შემდეგ რომ აანონსებდით?

— დაანონსებული თვისებრივი ცვლილებები აუცილებლად იქნება. არჩევნებამდე საკმაო დრო გვაქვს. ცვლილებები სხვადასხვა მიმართულებით დიდი ხანია დაიწყო და რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს. პირველ რიგში, აქცენტი რეგიონული სტრუქტურების გაძლიერებაზე გავაკეთეთ — დავასრულეთ აღმასრულებელი მდივნების შერჩევის პროცესი, შევადგინეთ სამოქმედო გეგმა, რომლითაც იხელმძღვანელებენ ჩვენი საოლქო ორგანიზაციები და ა.შ. რეგიონებში ნამდვილად იყო ხარვეზები. სირთულეები დღემდე არსებობს, თუმცა რამდენიმე თვე მოსამზადებელ პერიოდს სწორედ იმიტომ დავუთმეთ, ადგილობრივი სტრუქტურები გამართულად აგვემოქმედებინა. ოქტომბრის ბოლოს პროცესი დასრულდება და ნოემბრიდან, ჩვენი 73-ვე საოლქო ორგანიზაცია სრული დატვირთვით ამუშავდება. 2016 წლის პარტიული სიაც თვისებრივად შეიცვლება.

— დააკონკრეტეთ, რას ნიშნავს ეს თვისებრივი ცვლილებები?

— სია, ბუნებრივია, გადახალისდება, გვეყოლება ახალი სახეები. მიახლოებით გათვლილია, რამდენ დეპუტატს გაიყვანს პარლამენტში ჩვენი პარტია და სწორედ ამის მიხედვით ვიმოქმედებთ. ამბიციური მიზნები გვაქვს და როცა ვამბობ, რომ სიებში სიახლე იქნება, მის თვისებრივ გადახალისებას ვგულისხმობ. ახალი სახეებისა თუ ცვლილებების რაოდენობის დაკონკრეტება კი, სხვადასხვა მიზეზის გამო, ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

— არ გინდათ, დეპუტატები პანიკაში ჩაყაროთ?

— პანიკის საფუძველი არც ერთ შემთხვევაში არ არის. ყველაფერი ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე, გუნდურად გადაწყდება.

— ცოტა უხერხული თემაა, მაგრამ თქვენ ხომ გაქვთ ე.წ. შავი სია და ზუსტად იცით, ვინ აღარ უნდა იყოს პარლამენტში თქვენი პარტიის სახელით. მათთანაც უკვე მიდის ინდივიდუალური საუბრები?

> **— არავითარი შავი სია არ არსებობს. რაც შეეხება კონსულტაციებს, ინდივიდუალურად ვესაუბრებით ყველას, მაგრამ არა იმაზე, ვინ რჩება და ვინ მიდის. პარტია ერთი ოჯახია. აქ ყველა საკითხი კონსულტაციების საფუძველზე განიხილება და გადაწყდება. პირდაპირ გეტყვით, ჯერ გადაწყვეტილი არ არის, კონკრეტულად ვინ იქნება ან არ იქნება პარტიის საარჩევნო სიაში. ახლა ჩვენი მთავარი ამოცანა ახალი სახეების მოზიდვა. ამ პროცესის შედეგი გვიჩვენებს, კონკრეტულად, როგორ და რა დოზით გადახალისდება საპარლამენტო შემადგენლობა.**

— ცნობილია, რომ თქვენს გვერდით ყოფილი „მემარჯვენე“, გიორგი მოსიძე და ინტელექტკლუბის სხვა წევრები იქნებიან. კიდევ ვის ესაუბრებით ამ თემაზე?

— ნამდვილად გვქონდა და ვაგრძელებთ კონსულტაციებს კლუბის წევრებთან. ზოგ მათგანთან სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობა უკვე დავიწყეთ. პარტია ახალ სახეებს საზოგადოებას თანდათან წარუდგენს. ეს პირატაქტიკის საკითხიცაა, ამიტომ ყველაფერს ერთბაშად ვერ დავაანონსებ. რაც შეეხება ახალი სახეების გავლენას ფრაქციის მოქმედი შემადგენლობის გადახალისებაზე, გეტყვით, რომ ეს ორი საკითხი ერთმანეთთან პირდაპირ კავშირში არაა. ჩვენი გათვლით, პარლამენტში პარტიის წარმომადგენლობა 2016 წლის არჩევნების შემდეგ მნიშვნელოვნად, ერთიორად გაიზრდება. ასეთი შედეგი კი საშუალებას მოგვცემს, პარლამენტში სათანადო ადგილი დავუთმოთ როგორც მოქმედ დეპუტატებს, ისე ახალ სახეებს.

— მაშინ ასე გკითხავთ: პრაგმატულად, კოალიცია „ოცნებას“ უფრო შეაფერხებს თუ მას დამატებით პროცენტებს მოუტანს? როცა გვყავს თქვენი მომხრე ამომრჩეველი, რომელიც რესპუბლიკელებს „ერთპროცენტიანებს“ უწოდებს და თოფაძეს „რუსეთუმეს“, არჩევნებში ცალკე მონაწილეობა არ გირჩევნიათ?

— გულწრფელად გითხრათ, არჩევნებში ჩვენი კოალიციურად ან კოალიციის გარეშე მონაწილეობა პროცენტებზე გავლენას ვერ მოახდენს. რესურსი ნამდვილად გვაქვს, როგორც პარტიამ 2016 წლის არჩევნებში სერიოზული შედეგი დავდოთ. თუმცა, კოალიციურად მონაწილეობას ის უპირატესობა აქვს, რომ ეს მთელ პოლიტიკურ პროცესზე დადებითად აისახება.

— სხვათა შორის, თქვენზეც მსმენია, პირველი ნომერი თუ არ იქნება, სიის ათეულში მაინც მოხვდებაო. გინდათ საპარლამენტო ცხოვრებაში ჩაბმა?

— დღეს ამ საკითხებზე საუბარი ძალიან ადრეა და თამამად გეუბნებით, ამჟამად არავითარი საარჩევნო სია არ არსებობს. თითოეული საკითხი, მათ შორის სიაში ჩემი ყოფნა-არყოფნაც, გუნდმა უნდა გადაწყვიტოს. ამ საკითხზე კონსულტაციებში მეც აქტიურ მონაწილეობას მივიღებ.

— დიდი ხანია, ისმის კითხვა, რა დოზით მონაწილეობს 2016 წლის სიის ფორმირებაში ივანიშვილი, ბრუნდება თუ არა საჯარო პოლიტიკაში და თავად თუ იქნება სიაში?

— ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება აქტიურ პოლიტიკაში პარტიასა და კოალიციას დიდ სარგებელს მოუტანდა. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

— დღეს ვინ ხელმძღვანელობს პარტიის საქმიანობას?

— პარტიას თავისი იერარქია აქვს. პარტიაში გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი ორგანოა პარტიის პოლიტიკური საბჭო. პარტიის საქმიანობას, მათი დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, თავმჯდომარე, პრემიერი ღარიბაშვილი და ვიცე-პრემიერი, პარტიის გენერალური მდივანი კახი კალაძე ხელმძღვანელობენ. ყველა პრინციპული გადაწყვეტილება მათი ხელმძღვანელობით მიიღება. პარტიის საქმიანობას კი ყოველდღიურად, აღმასრულებელი მდივანი, ანუ მე წარვმართავ.

— ამ იერარქიის მიხედვით, ვინ არის ივანიშვილი, პოლიტსაბჭოს „მრჩეველი“?

— ბატონი ბიძინა ივანიშვილი არის პარტიის დამფუძნებელი.

— არადა, როგორც კი ხელისუფლებაში ვინმე ან რამე იცვლება, ყველა ივანიშვილისკენ იშვერს ხელს. როგორ ფიქრობთ, ეს ხმები და კიდევ „უნიათო“ ხელისუფლების სახელი რატომ ვერ მოიშორეთ?

— არავითარი არაფორმალური მმართველობა არ არსებობს, მით უმეტეს, იმ სახით, როგორც ამას ჩვენი ოპონენტები წარმოაჩენენ. ეს მხოლოდ სპეკულაციებია, რაც ჩვენი პრობლემა ნამდვილად არ არის. იგივეს ვიტყვი სიტყვა „უნიათოზეც“, რომელიც ჩვენი ოპონენტების მიერ პიარულად შერჩეული მესიჯია და რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. ხოლო პატიმრების წამებასა და ბიზნესმენების რეკეტში „უნიათოები“ ნამდვილად ვართ.

— ეს მესიჯი ხალხმაც აიტაცა.

— ვერ ვიტყვი, რომ ხალხმა აიტაცა. გათვლაა ასეთი, მესიჯი მუდმივად უნდა ატრიალონ, რათა მოსახლეობის რაღაც ნაწილს მაინც ჩაებეჭდოს თავში. თუმცა, ნაციონალების ეს პიარკამპანია მნიშვნელოვან პრობლემებს არ გვიქმნის.

— მაშინ „ოცნების“ არასწორ მესიჯებზეც ვისაუბროთ: მაგალითად, როცა თამარ ხიდაშელი წარადგინეთ საგარეჯოში, პარალელურად, კოალიციის სხვადასხვა ლიდერები ამბობდნენ, პარლამენტში ირმა ინაშვილი უნდა შევიდესო. ეს რესპუბლიკელებთან შიდაომით უნდა ავხსნათ თუ რატომ არ სურთ, საგარეჯო „სახიდაშელოდ“ იქცეს?

> **— საგარეჯო საგარეჯოდ დარჩება — არც „სახიდაშელო“ გახდება და მით უმეტეს, არც „საირმე“. ჩვენ კოალიციურ რეჟიმში ვმუშაობთ. საგარეჯოსა და მარტვილში შუალედური არჩევნების კანდიდატები კოალიციაში შემავალმა ყველა პარტიამ ერთად აირჩია და წარადგინა. შესაბამისად, თითოეული ჩვენგანი ყველა რესურსს ჩავრთავთ მათ გასამარჯვებლად. რაც შეეხება თქვენ მიერ ნახსენებ განცხადებებს, მათ, ბუნებრივია, ვერ მივესალმები და საჭიროდ მიმაჩნია, ამ საკითხზე გუნდში დისკუსია გაიმართოს, რათა მომავალში მსგავსი რამ თავიდან ავიცილოთ.**

დასასრული მე-4 გვერდზე

როგორები ვართ ჩვენ

ლევან სეფისკვერაძე

სამი რამ გვიყვარს ქართველებს ყველაზე მეტად: თავის გამოჩენა, ყველაფრის გათეატრალება და უღირსი ხალხის ლამის ეროვნულ გმირებად და „უცოდველ კრავებად“ გამოცხადება.

როდესაც რუსეთის ნაკრებთან სარაგბო დაპირისპირების დროს, სტადიონის ტრიბუნები პირთამდე ივსება – ეს ამბავი ყველას გვახარებს, რადგან ქართველი მორაგბეები გულშემატკივრებით სავსე სტადიონებზე თამაშს, რა თქმა უნდა, იმსახურებენ. მაგრამ მხოლოდ რუსეთთან მატჩზე ხომ არ გადის ქართული რაგბის დღევანდელობა? არადა, ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველოში ახალი ზელანდიის ძირითადი ნაკრებიც რომ ჩამოვიდეს, სტადიონის გავსება მაშინაც გაჭირდება. ქართველებს ხომ თავის გამოჩენისა და მკერდზე მუშტის ბრახუნის გამო ყველაფრის კეთება შეგვიძლია და რუსეთთან შეხვედრა საამისოდ შესანიშნავი ასპარეზია. ახალი ზელანდია კი ვის დაკარგვია...

ცნობილი ქართველი მსახიობები ან მსახიობობასთან მიტმასნილი ხალხი ხშირად ამბობს, რომ ქართველები ნამეტნავად თეატრალური ხალხი ვართ და ჩვენი ეს თვისება მხოლოდ დადებითად შეიძლება შეფასდეს. არის კი ეს დადებითი? მაგალითად, საქართველოში ხალხი შეიძლება აღშფოთდეს და გადაირიოს, როდესაც გაიგებს, რომ მავანი პოლიციელი ქუჩაში ხელკეტს ასარსალებს, მაგრამ იგივე ხალხი თავისთვის ჩუმად არის მაშინ, როდესაც იგივე პოლიციელს კორუფციაში ამხელენ და ფინანსურ მაქინაციებში დაადანაშაულებენ.

სამწუხაროდ, ჩვენში სამართლიანობისადმი ნამეტანად დეგრადირებული მიდგომებია და ხშირად კრიმინალი უფრო დიდ პატივისცემას იწვევს, ვიდრე სამართალდამცველი. ამიტომაც, დამნაშავე ჩინოსნების თემა ყოველთვის მეორეხარისხოვანი იქნება და არც კორუფციაში ბრალდებულ საჯარო მოხელეებს მოუმრავლდებათ მოკრიტიკეები. „ეგენი თავს მიხედავენ, ძმაო“, – ამბობს ქუჩურ-მშიშრული კოდექსი, რომელიც რატომღაც ვაჟკაცობად და „ქართველობად“ საღდება და იფუთება.

როგორც ზემოთ ვთქვი, ათასი ჯურის ნაძირლების „უცოდველ კრავებად“ გამოყვანა ასევე ქართველების ერთ-ერთი სამწუხარო თვისებაა. მაგალითად, ტელევიზიაში მიწვეულია მავანი „ექსპერტი“, რომელსაც, დანამდვილებით იცი, ათასგვარი ავკაცობა აქვს გაკეთებული და უნამუსობა მისი ცხოვრების თანმდევი სიამეა. კითხვა გიჩნდება პირველ რიგში იმის გამო, თუ რატომ დასჭირდა ამ ტელეკომპანიას ასეთი „ოდიოზური“ პერსონის ამოქექვა. ეს კიდევ შეიძლება ტელევიზიის რეიტინგის მატების სურვილით აიხსნას, მაგრამ ვერანაირად ვერ ვხსნი იმას, რომ აღნიშნულ გადაცემაში რეკავენ მოქალაქეები და ამ ადამიანს ქება-დიდებით ავსებენ. დავიჯერო ყველა ტელეფონზე დამრეკი ექსპერტის ნათესავი ან მეგობარია? არა, აქ ცოტა სხვაგვარადაა საქმე.

ჩვენთან დამკვიდრებულია შეხედულება, თუკი ადამიანი რამეს აშავებს, მაგრამ ამ დანაშაულის ლამაზად მიჩქმალვას ახერხებს, ეს დანაშაული ხშირ შემთხვევაში არც ისე მუქ ფერებში წარმოჩინდება ხოლმე. მაგალითად, ცუდია, როდესაც ადამიანი კორუმპირებულია და ქვეყანას ძირს უთხრის, მაგრამ თუკი ეს კორუმპირებული ადამიანი შენი ნათესავია, მინიმუმ ჩუმდები, როდესაც მასზე არცთუ საამო საუბარს ისმენ და შეიძლება მოსაუბრეს პირშიც კი ეცე – ამ კაცს თავი დაანებეო! ყოველმა ჩვენგანმა საკუთარ გულში რომ ჩავიხედოთ, მივხვდებით, რასაც ვგულისხმობ, მაგრამ განა ამით კი შეიცვლება რამე?

საგზაო შემთხვევების შემცირების ვალდებულება საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმებით აიღო

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია, — აცხადებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი. მისი განმარტებით, საგზაო შემთხვევების შემცირება ის ვალდებულებაა, რომელიც საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმებით აიღო: **„კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის განვითარების ის განუყოფელი ნაწილი, რომელმაც უნდა მოახერხოს როგორც ადამიანების სიცოცხლის გადარჩენა, ასევე სწორი ეკონომიკური განვითარება. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში საგზაო შემთხვევები იზრდება მაშინ, როცა ევროპასთან ასოცირების ნაწილში გვაქვს გარკვეული ვალდებულებები, რათა აღნიშნული რაოდენობა შემცირდეს. ვიმედოვნებ, დღევანდელი შეხვედრა იქნება წარმატებული და ყველა ის მიგნება, რომელიც სტრატეგიაშია ჩამოყალიბებული, დეტალურად განიხილება“.**

დიმიტრი ქუმსიშვილმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული სტრატეგია სხვადასხვა სამთავრობო უწყების ერთობლივი მუშაობის შედეგად მომზადდა და მათი კოორდინაციისთვის შესაბამისი მაკოორდინირებელი საბჭო უნდა შეიქმნას: **„რეგიონული განვითარების, ეკონომიკის, შინაგან საქმეთა, განათლების და ჯანდაცვის სამინისტროებია ძირითადი უწყებები, რომელთა კოორდინაციაც საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გეგმის განხორციელების პროცესში უმნიშვნელოვანესია. ვფიქრობთ, უნდა შეიქმნას მაკოორდინირებელი საბჭო, რომელიც შესაბამისი სამოქმედო გეგმის განხორციელებას გაუწევს მონიტორინგს“.**

bpn.ge

ავტობუსების შესყიდვის თაობაზე კონკურსი გაისად გამოცხადდება

თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, ფინანსთა სამინისტრომ, მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ფინანსური სახსრების გამოყოფასთან დაკავშირებით, EBRD-თან დაიწყო მოლაპარაკებები.

თბილისის მერის თქმით, ჩატარდა კვლევა თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტის თაობაზე და ამ საკითხთან დაკავშირებით, საკონკურსო წინადადებები მომზადდება: **„საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ტრანშის გამოყოფაზე ღ-თან დაიწყო მოლაპარაკებები. მათთან ტექნიკურ საკითხებზე ვმუშაობთ. მათ ჩაატარეს კვლევა თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტის სფეროში არსებულ მდგომარეობაზე, რაზე დაყრდნობითაც საკონკურსო წინადადებები მომზადდება. გამოცხადდება კონკურსი მომდევნო წლისთვის ავტობუსების შესყიდვის თაობაზე“.**

„პირველი“

ექსკლუზიური ინტერვიუ „ოცნების“ აღმასრულებელ მდივან ირაკლი კობახიძესთან

მე-3 გვერდიდან

— არჩევნებზე ვსაუბრობთ, თუმცა, როგორც ბევრი, მათ შორის ექსპერტებიც ვარაუდობენ, შესაძლოა, ამ პროცესს საფრთხეც დაემუქროს, რასაც „რუსთავი 2“-ის გარშემო მიმდინარე მოვლენები დააჩქარებს. ნიკა გვარამიას განცხადებასაც თუ გავიხსენებთ, „ვიდრე „ოცნება“ დაგვხურავს, ჩვენ დავხურავთ „ოცნებასო“, პროცესი რევოლუციურ რელსებზე ხომ არ გადადის?

— „რუსთავი 2“-ის საქმის იურიდიულ ნიუანსებს არ ვიცნობ, მაგრამ ერთი რამ შემიძლია გითხრათ — ეს არის დავა ორ კერძო სუბიექტს შორის და საქმე პოლიტიკურ ჭრილში ყველას ისე გადააქვს, როგორც სურს.

— ეს არის დავა ქიბარ ხალვაშსა და „რუსთავი 2-ს“ შორის. როგორ შეიძლება, ის პოლიტიკური არ იყოს?

— აი, თქვენც გადაიტანეთ პოლიტიკურ ჭრილში და არასწორი ინტერპრეტაცია მიეცით. თუ დავას ნამდვილ სახელს დავარქმევთ, მაშინ უნდა ვუწოდოთ არა დავა ქიბარ ხალვაშსა და „რუსთავი 2-ს“, არამედ დავა ქიბარ ხალვაშსა და „რუსთავი 2-ის“ მოქმედ მფლობელებს — ყარამანაშვილებს, კეზერაშვილს, გვარამიასა და სააკაშვილს შორის.

— თუ ასეა, მაშინ ქიბარ ხალვაშის უკან მისი მეგობარი ივანიშვილი დგას და დავა „რუსთავი 2“-სთვის სააკაშვილ-ივანიშვილს შორის მიმდინარეობს.

— ჯერ ერთი, ქიბარ ხალვაშს „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით პრეტენზიები 2007 წლიდან ჰქონდა. ხალხს მკაფიოდ ჩამოყალიბებული დამოკიდებულება აქვს ნაციონალური მოძრაობისა და მასთან დაკავშირებული ტელევიზიის მიმართ. ყველამ იცის, როგორ გადადიოდა ხელიდან ხელში „რუსთავი 2“ და ბოლოს, როგორ აღმოჩნდა ნაციონალების მფლობელობაში უმძიმესი, კრიმინალური მეთოდებით. ეს საქმე თეთრი ძაფითაა ნაკერი, რადგან ყველაფერი მოსახლეობის თვალწინ ხდებოდა. ხალხს აქვს მკაფიო პოზიცია, სამართლიანი სასამართლოს პირობებში, როგორ უნდა გადაწყდეს ეს დავა.

— მაგრამ საქმე თეთრი ძაფით ნაკერი ჩანს მეორე მხარისთვისაც — საარჩევნო წელი მოდის და „ოცნებას“ სურს ყველაზე პოპულარული, ოპონენტი ტელევიზიის მოშორება. ამაშიც არის ლოგიკა და მსგავსი ეჭვები თქვენს წისქვილზე ასხამს წყალს არჩევნების წინ?

— მთავარი ამ პროცესში ისაა, რომ თავის დროზე, აშკარად და თვალსაჩინოდ დაირღვა კანონი. არც გვინდა და არც ვაპირებთ იმ მიდგომის გამეორებას, რაც წარსულიდან გვახსოვს და არ მოგვწონდა. რაც შეეხება სასამართლო პროცესის კავშირს არჩევნებთან, ამ პარალელის გავლება არასწორია. საარჩევნო რეჟიმი იწყება მაშინვე, როგორც კი წინა არჩევნები მთავრდება. შესაბამისად, 2012 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის ოქტომბრამდე მუდმივ საარჩევნო რეჟიმში ვმუშაობთ და ამ პერიოდში კონკრეტული სასამართლო პროცესების წარმართვას არჩევნებს ნამდვილად ვერ დავუკავშირებთ. ხოლო ის, რომ „ოცნებას“ გვარამიას მუქარის უნდა ეშინოდეს, სასაცილოა. გვარამია იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენელია, რომელსაც ძალზე დაბალი რეიტინგი და ნულოვანი შანსი აქვს, ეს რეიტინგი გაზარდოს. ნაციონალური მოძრაობის კისერზე უმძიმესი დანაშაულებია და მის ადგილას, ასეთ ხმამაღალ განცხადებებს ნამდვილად არ გავაკეთებდი.

— თუმცა ნაციონალებს და „რუსთავი 2“-ს მოგებული რევოლუციის გამოცდილება აქვთ.

> **— დავაზუსტებ, ნაციონალებს რევოლუციის ერთჯერადი გამოცდილება აქვთ და იმ პროცესებს სრულიად განსხვავებული პოლიტიკური კონტექსტი ჰქონდა. როცა ზურგს არ გიმაგრებს ხალხის მხარდაჭერა, მსგავსი სცენარი გამორიცხულია. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მაინც ორპოლუსიანი პოლიტიკური სისტემის მეორე პოლუსს წარმოადგენენ, მათ იმდენად დაბალი რეიტინგი აქვთ, მსგავს მუქარას სერიოზულად ვერ აღვიქვამ.**

— და მეორე პოლუსად, მთელი სახელისუფლო ვერტიკალის საპირწონედ, ეს გაჭირვებული პარტიაა?

— ასეა, რადგან დაბალი რეიტინგის მიუხედავად, მათ ფინანსური და მედიარესურსი აქვთ. სწორედ, ამ რესურსებით ინარჩუნებენ ნაციონალები დღემდე მხარდამჭერებს, თუმცა ეს ყველაფერი, მათ შორის მედიარესურსი, რეიტინგის გაზრდაში ვერ ეხმარება.

— ისე, ნაციონალების მიმართ შერჩევით სამართალზეც გაჩნდა კითხვები: დეპუტატ დავით ლორთქიფანიძის სათვალის გატეხვისთვის ორი ბიჭი ციხეში ჩასვეს, დეპუტატ ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირის გატეხვისთვის კი კაცი 100-ლარიანი ჯარიმით გაუშვეს — ეს რამდენად ადეკვატურია სასამართლოს მხრიდან და როგორ აფასებთ გიორგი ბარამიძის მუქარას სამოქალაქო კონფრონტაციის შესახებ?

— საკითხის იურიდიულ დეტალებს არ ვიცნობ, ამიტომ კონკრეტულ შეფასებას ვერ გავაკეთებ. ზოგადად, შერჩევითი სამართალი ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელია და ამ საქმეში თუ რაიმე კითხვის ნიშანი არსებობს, აუცილებლად უნდა მოიხსნას. თითოეულ ადამიანს სამართალდარღვევისთვის ის სანქცია უნდა შეეფარდოს, რომელსაც კანონმდებლობით იმსახურებს. რაც შეეხება სამოქალაქო კონფრონტაციას, ნაციონალებს მისი პროვოცირება ნამდვილად აძლევს ხელს, თუმცა ამის არავითარი პრაქტიკული შანსი არა აქვთ.

— და ბოლოს, 12 პარტია ამჯერად, 200 000 კაცის ხელმოწერას აგროვებს მაჟორიტარული არჩევნების წესის გასაუქმებლად. ამ ხელმოწერებს „ოცნების“ გეგმებში რაიმე გარდატეხის შეტანა შეუძლია?

> **— ეს კამპანია ნაციონალების მარგინალიზაციის პრევენციას ემსახურება, თუმცა თამამად გეტყვით, რომ 2016 წლის არჩევნების შემდეგ ნაციონალების მარგინალიზაცია გარდაუვალია. რაც შეეხება 12 პარტიას, იმ პირობებში, როდესაც მათგან ბარიერის გადალახვის შანსი მხოლოდ 2-3 პარტიას აქვს, ამაზე საუბარი არასერიოზულია.**

— ახლა ასეთივე გულწრფელობით მითხარით, ვინ გადალახავს ბარიერს „ოცნების“ კოალიციის დაშლის შემთხვევაში?

— რა თქმა უნდა, ამაზე არ ვისაუბრებ, რადგან კოალიციის დაშლის სცენარს არ განვიხილავთ. ძალიან ღირებული ადამიანები გვყავს კოალიციაში.

— პრეზიდენტი თუ იქნება თქვენს გვერდით წინასაარჩევნო კამპანიაში და მას რა როლი ექნება შუალედურ თუ საპარლამენტო არჩევნებში?

— დღეს პრეზიდენტი კოალიციისგან დისტანცირებულია, ამიტომ, ბუნებრივია, იგი ვერ ჩაერთვება საარჩევნო კამპანიაში.

ნაციონალურ მოძრაობას მთელი ოპოზიცია გაემიჯნა!

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ვადამდელი არჩევნები და მთავრობის გადადგომა — ამ ორი მოთხოვნით, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ ბიძინა ივანიშვილის შუშის სასახლესთან გამართულ აქციაზე გააჟღერა, პარტია დანარჩენ ოპოზიციასთან მოლაპარაკებას იწყებს. ოპოზიციურ პარტიებთან კონსულტაციების გარდა, ნაციონალები ქუჩის საპროტესტო აქციებსაც გვპირდებიან. ეს გადაწყვეტილება, ყოფილმა ხელისუფლებამ, დანარჩენი პოლიტიკური სპექტრისთვის სრულიად მოულოდნელად გააჟღერა, როცა ივანიშვილის რეზიდენციასთან „რუსთავი 2“-ის მხარდამჭერ აქციაში მონაწილე ორი ახალგაზრდის დაპატიმრებას აპროტესტებდნენ. მეტიც, ლიდერების მხრიდან რამდენიმე მწვავე განცხადებაც გაჟღერდა, მათ შორის გამორჩეული კი მაინც გიორგი ბარამიძის განაცხადი აღმოჩნდა: „თუ ადრე რამე არ მოგწონდათ, იმაზე უარესს თქვენ ნუ გაიმეორებთ. ივანიშვილის მმართველობა ქვეყანას ძვირი უჯდება. სამოქალაქო კონფრონტაციისკენ მივდივართ“.



„26 მაისს ნინო ბურჯანაძესაც ეგონა, რუსთაველზე დავდგები და პარტიები მოვღენო... ასე დაემართებათ ნაციონალებსაც“

სხვათა შორის, ნაციონალებისგან მსგავსი მოულოდნელი შეთავაზებები არახალია — მარტში გამართულ აქციაზე, მათ ალასანიას თავისუფალ დემოკრატებს პირდაპირ ტრიბუნიდან მოუწოდეს საპარლამენტო ბოიკოტისკენ. ყოფილი მმართველი გუნდი ამჯერადაც ასე მოიქცა და განაცხადა, რომ უკლებლივ ყველა ოპოზიციურ პარტიას დაელაპარაკება. თუმცა მეორე თემაა, დაელაპარაკება თუ არა და რაც მთავარია, გაყვება თუ არა მას ყველა ოპოზიციური პარტია?! „ვერსია“ სწორედ ამის გარკვევას შეეცადა და ვფიქრობთ, კითხვაზე, რას ფიქრობს დანარჩენი ოპოზიციური სპექტრი ნაციონალების შეთავაზებაზე, სრული სურათი მივიღეთ: პირველ რიგში, „ნაციონალური რევანშიდან“ დისტანცირებული ის პარტიებია, ვინც არათუ ვადამდელ არჩევნებს მოითხოვს, არამედ არც შუალედურ არჩევნებს უცხადებს ბოიკოტს და ამით დანარჩენ ოპოზიციურ სპექტრს ემიჯნება. ასეთი კი საკმაოდ წონიანი პარტია, „პატრიოტთა ალიანსია“. ყველა დანარჩენი პარტია კი იმ 12-პარტიულ ჯგუფშია გაერთიანებული, რომელიც არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს და საარჩევნო სისტემის შეცვლას ითხოვს. ნაციონალები ფსონს სწორედ ამ პარტიებსა და ლიდერებზე გააკეთებენ: შალვა ნათელაშვილის „ლეიბორისტები“, ნინო ბურჯანაძის პარტია, ირაკლი ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“, გოჩა ჯოჯუას ქრისტიან-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ზაზა დავითაიას „ევროპელ დემოკრატებთან“ ერთად, ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარის, ზურაბ ხარატიშვილის „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის“, ახალი მემარჯვენეები, კახა კუკავას „თავისუფალი საქართველო“ და ირაკლი ღლონტის „რეფორმატორები“. როგორც ვერსიისთვის“ გახდა ცნობილი, ოპოზიცია ეროვნული დემოკრატების ოფისში 6 ოქტომბერს შეიკრიბა და ერთ-ერთ თემად, ნაციონალების მიერ ქუჩიდან გაჟღერებულ შეთავაზებაზეც იმსჯელა. ცნობისთვის, საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების მოთხოვნით ჯერ ყველა ეს პარტია გაერთიანდა, ინტერპარტიულ ჯგუფში და მათთან მხოლოდ ამის მერე მივიდა ნაციონალური მოძრაობა. როგორც ჩანს, ყოფილ ხელისუფლებას მთელი ამ ოპოზიციური ტალღის ჩაბმა და გაძღოლა სურს, თუმცა არასაპარლამენტო ოპოზიციამ და ირაკლი ალასანიამ, ალბათ, თავისი დასკვნები უკვე გააკეთეს და „ვერსიის“ კითხვას, გაყვებით თუ არა ნაციონალურ მოძრაობას ქუჩაში, ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით, დღეს ასე პასუხობენ:

ახალი მემარჯვენეები, მამუკა კაციტაძე: „ახლა ჩვენ საარჩევნო სისტემის შეცვლაზე ვართ გადართულნი და არასაპარლამენტო ოპოზიციის ინტერპარტიულ ჯგუფში ვმუშაობთ. ვთანამშრომლობთ არასამთავრობო სექტორთან და ასევე, საპარლამენტო ოპოზიციასთან. მოვლენათა განვითარება კი ასე წარმოგვიდგენია: ჯერ საარჩევნო ცვლილებები უნდა მოხდეს და მხოლოდ ამის მერე უნდა ვილაპარაკოთ მორიგ, რიგგარეშე, ასეთ და ისეთ არჩევნებზე. არათუ რიგგარეშე, მორიგ არჩევნებსაც კი აზრი ეკარგება, საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილების გარეშე. ამ პროცესში ჩართულია ყველა, მათ შორის, ნაციონალური მოძრაობაც და არა მგონია, კარგი იდეა იყოს, კონსოლიდირებულ ოპოზიციაში ახალი ინიციატივების შემოტანა. ეს ამ გაერთიანებას უფრო დააზარალებს. და კიდევ ერთიც: ინტერპარტიულ ჯგუფში ნაციონალური მოძრაობა საერთოდ არაა. მასში ჯერ 11 პარტია ვიყავით, შემდეგ, შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის გამო, „პატრიოტთა ალიანსი“ და მემარცხენე ალიანსი გამოგვაკლდა, სამაგიეროდ, დაგვემატა „რეფორმატორები“, კახა კუკავა და შალვა ნათელაშვილი. ამიტომ ნაციონალები ჩვენთან კავშირშიც კი არ არიან, არათუ სათავეში მოექცნენ. გარდა ამისა, გვაქვს ერთადერთი აქცია, 200 000 ხელმონერის შეგროვების მოთხოვნით და ამაზე უფრო მასშტაბური ვინ რა უნდა გააკეთოს, არ ვიცი“. **ნაციონალებს 26 მაისს დარბეული ნინო ბურჯანაძის მაგალითს ახსენებს ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი გოჩა ჯოჯუა:** „ხელისუფლებას აქამდე ერთი კოზირი ჰქონდა — ნაცმოძრაობას რაც უნდა ცუდად მოვექცეთ, გვერდზე მაინც არავინ დაუდგებაო. ახლა „ოცნებას“ ეს კოზირი ნელ-ნელა გაუქრა, რადგან ხედავს, რომ ნაციონალები კონკრეტული, ჯანსაღი მოთხოვნების გარშემო, დანარჩენ ოპოზიციასთან ერთიან დოკუმენტებსაც აწერენ ხელს. „ოცნება“ იმაშიც მწარედ შეცდება, თუკი იფიქრებს, რომ რადგან შუალედურ არჩევნებს ვემიჯნებით, მარტვილსა და საგარეჯოში არსებულ დარღვევებზეც თვალს დავხუჭავთ, თუ ასეთი იქნება. მეორე მხრივ, ნაციონალებმა ჩათვალეს, რომ ისინი საერთო ოპოზიციურ ფრონტში მიიღეს და ახლა ამ ფრონტის ლიდერობა მოუნდათ. მათ ჯერ ჩვენთან კონსულტაციები უნდა გაემართათ და ამის მერე ეძახათ, შემომიერთდიო. თუკი მათ მიტინგს დაარბევენ, სოლიდარული მხოლოდ მაშინ ვიქნებით, მაგრამ მათ მიერ დაანონსებულ აქციებს არ შევუერთდებით. ამ ანონსებს ის ურჩევნიათ, ჩვენთან საერთო პოზიცია ეძებონ და შეგვითანხმდნენ, თორემ ასეთი ფორმით ბრძოლა ნინო ბურჯანაძემ 26 მაისსაც სცადა. იფიქრა, რუსთაველზე დავდგები, ვიტყვი, მოდით და ეს პარტიებიც მოვლენ, აბა, სად წავლენო. სინამდვილეში, ვინც მივიდა და რაც მოხდა, ესეც ვნახეთ. ასე რომ, 26 მაისის ცოდვა, ბურჯანაძის კისერზეცაა, მაშინდელ ხელისუფლებასთან ერთად. აჯობებს, პარტნიორები კი არ აიძულონ, მათთან კონსულტაციები გამართონ“. **თავად ნინო ბურჯანაძის პარტია ნაციონალების შეთავაზებას უარით პასუხობს, მეტიც, პარტიის პოლიტიკური მდივანი, გიგლა ბარამიძე ნაციონალებს ვადამდელი არჩევნების მოთხოვნის მითვისებაშიც ადანაშაულებს:** „სად იყვნენ ჯერ კიდევ 2 წლის წინ ან ნაციონალები, ან დანარჩენი პარტიები, როცა ჩვენ ვადამდელი არჩევნების აუცილებლობაზე ვსაუბრობდით? ამიტომ ნურავინ დაიბრალებს, რომ ეს მისი ექსკლუზივია. ნაციონალების მოქმედება სისტემურ დანაშაულად პარლამენტს სწორედ 2-3 წლის წინ უნდა შეეფასებინა, მაგრამ არც ეს მოხდა. ამიტომ ნინა რეჟიმის წარმომადგენლების გვერდით, როცა ახლა ნიანგის ცრემლებს აღვარღვარებენ ადამიანის უფლებებზე, რა თქმა უნდა, არ დავდგებით. დღეს „ოცნებას“ მეტი საერთო აქვს ნაციონალებთან, ვიდრე ჩვენ, რადგან ხელისუფლება უკვე სამი წელია ამ დანაშაულებრივი პარტიის „გათეთრებას“ ემსახურება. „ოცნება“ ყველაფერს აკეთებს, რათა პოლიტიკურ საფლავში ჩასული და ფერფლმიყრილი ნაციონალები ფეხზე დააყენონ. კატეგორიულ უარს ვაცხადებთ ნაციონალებთან თანამშრომლობაზე“. **ასეთივე კატეგორიულია „რეფორმატორების“ ლიდერი ირაკლი ღლონტი, რომელიც არა ვადამდელი, არამედ მორიგი არჩევნებისთვის ემზადება:** „ჩვენი მიზანი ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა არ არის. პირიქით, გვსურს, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მოვემზადოთ და მთელი საქართველოს მასშტაბით საინტერესო კანდიდატები გვყავდეს. ნამდვილად არ ვაპირებთ, ჩვენი დღის წესრიგი სხვა პარტიების ან, მით უმეტეს, ერთი პარტიის დღის წესრიგს მოვარგოთ. მართალია, ოპოზიციას თავად ხელისუფლება გვიბიძგებს გაერთიანებისკენ, მაგრამ ჩვენს გეგმებში ნაციონალებთან ერთად გააქტიურება ნამდვილად არ შედის. ამ ეტაპზე, ეს გამორიცხულია. ჩვენი ერთობლივი საქმიანობა მხოლოდ შუალედური არჩევნების ბოიკოტირებით შემოიფარგლება“. **ნაციონალების განცხადება ედპ-ს ლიდერისთვისაც სიურპრიზი აღმოჩნდა. ბაჩუკი ქარდავას აზრით, შედეგის მომტანი მხოლოდ საარჩევნო ცვლილებების მოთხოვნა იქნება და არა ვადამდელი არჩევნები:** „დაახლოებით წელიწადია, ოპოზიციური სპექტრი რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე შეთანხმდა. ეს უპრეცედენტო, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციური ერთობაა, რომელიც საარჩევნო კანონს, საკონსტიტუციო ცვლილებებსა და შუალედური არჩევნების ბოიკოტს ეხება. ამ კონსულტაციებისას, ვადამდელ არჩევნებზე არასდროს გვისაუბრია. ახლაც იმ მიზნით ვმუშაობთ, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის გარემო შეცვალოთ და ხელისუფლებაზე მოვახდინოთ ზეწოლა. ხოლო თუ მიზანს ვერ მივაღწევთ, მაშინ არც იგივე სისტემით ჩატარებული, თუნდაც ვადამდელი არჩევნების შედეგები შეიცვლება“. **მოკლე და კონკრეტული პასუხით შემოიფარგლა „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა:** „ჩვენს გვსურს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება და ვფიქრობთ, ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, თუ როდის ჩატარდება არჩევნები“. **ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი კი ფიქრობს, რომ მსგავს განცხადებებს ოპოზიციასთან თანამშრომლობის შესახებ, ნაციონალები, მინიმუმ, სხვების ინფორმირების შემდეგ უნდა აკეთებდნენ:** „საჯარო განცხადების გარდა, ამ თემაზე ნაციონალებთან არანაირი საუბარი არ ყოფილა. ფაქტია, „ოცნებაც“ ძალიან ხისტად იქცევა და ოპოზიციასთან არანაირ მოლაპარაკებაზე არ მოდის, ამ საკითხში მათ ნაციონალებსაც კი აჯობეს. ოპონენტების უფლებების რღვევის, ამხელა უტიფრობის, შერჩევითი სამართლის საპასუხოდ, რაღაც ნაბიჯები მართლაც გადასადგმელია. რაღა ნაციონალებზე ვისაუბრო, როცა შერჩევითი სამართალი ჩემს წინააღმდეგად ამუშავდა და ღობეზე „პლაკატის“ გაკვრის გამო დამიჭირეს, როცა მთელი თბილისი „პლაკატებითაა“ სავსე. ამიტომ ოპოზიცია ვადამდელ არჩევნებს მოითხოვს, თუ ქვას ისვრის, ფაქტია, „ოცნება“ ყველაფრის ღირსია, მაგრამ ჩვენი მიზანი თამაშის წესების შეცვლაა და რა აზრი აქვს ვადამდელ არჩევნებს, იგივე წესებით?!“ **„დრაკონი მაჟორიტარების“ წინააღმდეგ ბრძოლას ვადამდელ არჩევნებზე უფრო პრიორიტეტულად მიიჩნევს ლეიბორისტი გიორგი გუგავაც:** „ოპოზიციის მთელი ენერგია ახლა საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლისკენ უნდა წარიმართოს. დრაკონული კანონები თუ არ შეიცვლება, იგივე სურათს მივიღებთ. პარლამენტს ქვეყნისმჭამელ მაჟორიტართა კორპუსი უნდა ჩამოშორდეს და რა მნიშვნელობა აქვს, ვისი მაჟორიტარები შეცვლიან არსებულებს პარლამენტში? თუ კანონი არ შეიცვლება, მივიღებთ იგივე ბალასტს, „მაფიოზა ბიზნესმენ“ მაჟორიტართა კორპუსს, რომლებიც კალთაში ნებისმიერს ჩაუხტებიან, თავიანთი ვნებების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ ოპოზიციის მთელი ძალისხმევა მაჟორიტარული წესის შეცვლისკენ უნდა მივმართოთ და არა ვადამდელი არჩევნების მოთხოვნისკენ. ჩვენ ვიბრძოლებთ საარჩევნო გარემოს გასაჯანსაღებლად, სხვა შემთხვევაში და სხვა მიზნებით ბრძოლას აზრი არ აქვს“.

ნაციონალების მორიგ შეთავაზებას კვლავინდებური დამაჯერებელი უარით პასუხობს ალასანიას პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ცაგარეიშვილიც: „არავითარი ურთიერთობა ნაციონალებთან არ იქნება. დამოუკიდებლად ვაპირებთ არჩევნებზე გასვლას და ეს ჩვენი პარტიის გენერალური ხაზია. არ ვიცი, რამდენად გაითვალისწინებენ, მაგრამ მორიგი, 2016 წლის არჩევნებისთვის მომზადებას ვურჩევ დანარჩენ პარტიებსაც. მრავალჯერ მითქვამს, რომ ჩვენი დღის წესრიგი არც დღეს და არც არასდროს დაემთხვევა ნაციონალების დღის წესრიგს.“

ასე რომ, მთელი ოპოზიცია ნაციონალური მოძრაობის შეთავაზებას უარით პასუხობს. სრული სურათის დანახვის შემდეგ, ცხადია, ნაციონალებთან დაკავშირებაც ვცადეთ, თუმცა პარტიის არც ერთი წარმომადგენელი ისევე, როგორც მათი პრესმდივანი, ჩვენს ზარებს არ პასუხობდა. ფაქტი ერთია, ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციურ ფრონტზე იზოლაციაში მოექცა, ხოლო ვადამდელი არჩევნები, თან იგივე კანონმდებლობით, ახლა ხელს ისე არავის აძლევს, როგორც „ქართულ ოცნებას“.

ვერსიანიუსი

ჰააგის სასამართლომ რუსეთისგან 2008 წლის ომის მოვლენების ამსახველი მასალები მოითხოვა

რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრ ბასტრიკინის ინფორმაციით, ჰააგის საერთაშორისო სასამართლომ რუსეთიდან 2008 წლის აგვისტოს ომის მასალები გამოითხოვა. როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნა, ჰააგის სასამართლო წლების შემდეგ მაინც დაინტერესდა, რუსული მხარის მიერ გამოძიებული მასალებით: **„ჰააგის სასამართლოში ქართული სამხედროების ქმედებას ჩვენ სამხედრო დანაშაულის კვალიფიკაცია მივეცით და მხოლოდ 3 დღის წინ, ჰააგის სასამართლოდან მივიღეთ წერილი, სადაც ისინი მოითხოვენ, რომ გადავუგზავნოთ მასალები“.** საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არ არის გამორიცხული, ჰააგის სასამართლოს მოთხოვნა ქართული მხარის კონტრარგუმენტების წარმოდგენას უკავშირდებოდეს, რაც რუსული მხარის მიმართ ზეწოლას გამოიწვევს: **„რუსულმა მხარემ გამოიძია 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენები. სამწუხაროდ, საერთაშორისო საზოგადოება ჩვენი საგამოძიებო ქმედებების მნიშვნელოვან შედეგებს იგნორირებას უკეთებს“.** 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა ოკუპირებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისა და რუსი მშვიდობისმყოფელების გენოციდისა და მასობრივი მკვლელობის ფაქტებზე და ასევე, ომის აკრძალული საშუალებებითა და მეთოდებით წარმოებაზე.

„პირველი“

პიკასო „ზონაზე“

როგორ „გასროკეს“ ხულიგნობაზე ძვირფასი ნახატების გამყიდბებელი

პატიმარი №0578

შესაძლოა ბევრმა არ იცის, მაგრამ საქართველოში არაერთი შედევრია კერძო კოლექციებში დაცული. პიკასოს, რაფაელის, მოდილიანის, ვან გოგის, ფიროსმანის, გუდიაშვილის... ნახატები საზოგადოებისთვის ცნობილი თუ უცნობი ოჯახების კედლებს ამშვენებს. შედეგად, ეს ოჯახები კრიმინალების სამიზნეა. ხშირად ისეც ყოფილა, რომელიმე ოჯახიდან ცნობილი, მილიონებად შეფასებული ნახატი მოუპარავთ, მეპატრონეებს კი პოლიციის ნაცვლად, კრიმინალებისთვის მიუმართავთ და ისე მოუხერხებიათ მისი „ვაზვრატი“.

რუსთავის №16 ზონაზე ერთი პატიმარი იჯდა, რომელსაც ყველა პიკასოს ეძახდა. იმის მიუხედავად, რომ მის ხელში ფუნჯი არავის უნახავს, ყველა ამბობდა, რომ საოცრად ხატავდა. პატიმარი №0578 ამაში მაშინ დარწმუნდა, როცა პიკასომ ეკლესიის კედლები მოხატა. გაოცებისგან ყველამ პირი დააღო, მხოლოდ რამდენიმე პატიმარს არ უკვირდა — თქვენ არ გინახავთ ეს როგორ ხატავს, ორიგინალისგან ვერ გაარჩევო. არადა, პიკასო რაიმე ნახატის გაყალბებაზე კი არა, ხულიგნობაზე იხდიდა სასჯელს.

„პიკასო, არც სახელი მაინტერესებს შენი, არც გვარი, პიკასოდ დარჩები ჩემთვის, ოღონდ უნდა მითხრა, ის, რასაც შენზე ჰყვებიან, სიმართლეა, თუ არა? ცნობილი მხატვრების ორიგინალებს აკეთებსო და... ერთ კვირაში სხვა ზონაზე გადავყავარ ვიცი, მითხრეს უკვე და ამ ერთ კვირაში თუ გინდა ნაწილ-ნაწილ მოყევი, თუ გინდა ერთად“, — პატიმარი №0578 პიკასოს კამერაში იყო.

პიკასო თითქოს არც უსმენდა, მერე, ჩუმად, თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებოდაო, ისე თქვა — „ბესო მქვია... მაგრამ პიკასოს მეძახიან ბავშვობიდან, კარგად ვხატავდი, ახლაც არა მიშავს თითქოს, მაგრამ მეორე წელია აქ ვარ და ხელი გამიზარმაცდა. უსაქმოდ ყოფნამ იცის ეს. პასტით და ფანქრით კი ვხატავ ხოლმე, მაგრამ ფუნჯი სულ სხვაა... მაგალითად, ლამას ბეწვის ფუნჯი, იცი, რას ნიშნავს შენ? არ იცი... საოცრება შეგიძლია გააკეთო. აი, ლამა დადის, დანავარდობს, ვიღაც იდიოტი კლავს, მერე იმის ბეწვისგან ფუნჯს აკეთებენ, მერე ამ ფუნჯებს ყიდიან, იდიოტებიც ყიდულობენ, გენიოსებიც და ხატავენ. ჰო, საქართველოშიც იყიდება, ოღონდ ძირითადად უვარგისი ბეწვისგან დამზადებული ანუ ყველა ბეწვი არ ვარგა...“

„შენ კაიფში ხარ თუ მართლა ასე გაქვს ხატვაზე გარეკილი?!“ — გაოცდა №0578.

„კაიფია ეს... ხატვაა კაიფი, გესმის? მოჰქონდათ შედევრები და ასლების გაკეთებას მთხოვდნენ და თან ამაში ფულს მიხდიდნენ. სულ რომ არაფერი მოეცათ, იცი, რა ბედნიერი ვიყავი?! არ იცი... გიდევს წინ მოდილიანი და იმასთან ერთად მთვრალი ხარ, იმასთან ერთად გიჟობ, ხვდები ან უფრო სწორედ გინდა, მიხვდე, რას განიცდიდა, როცა ამას ხატავდა და ბედნიერი ხარ, სხვა სამყაროში ხარ და... არ იცი შენ, ვერ მიხვდები...“, — გაიღიმა პიკასომ.

„ჰოდა, შენც ის მომიყევი, რასაც მივხვდები, მარტივად, გლეხურად...“, — ღიმილითვე უთხრა №0578-მა.

„განსაკუთრებული არაფერი. თავიდან, მართლა იდიოტები მოვიდნენ, მომიტანეს ვან გოგის ნახატი და ასლი გამაკეთებინეს. თურმე რუსეთში კლიენტი ჰყოლიათ და ამ ასლის მიყიდვა მოუნდათ. იქ კიდევ ექსპერტებს შეამოწმებინეს და თავზე გადაახიეს ჩემი ნაწვალები. აქ მომივარდნენ, აქაოდა რატომ ისე არ დახატე, რუსი ექსპერტი ვერ მიმხვდარიყოო. როგორ გასინჯეს-მეთქი და საღებავი ჩამოფხიკეს და ერთკვირიანი ანალიზი გაუკეთესო. სიცილით კინაღამ მოვკვდი, მაგათ უნდოდათ, ჩემი საღებავი საუკუნის ყოფილიყო. ავუხსენი, რომ ასე არ ხდება და ისე უნდა ემუშავათ, როგორც სხვები მუშაობდნენ, მარტივად. ანუ მყიდველი კი არა, მფლობელი უნდა მოეტყუებინათ“, — თქვა პიკასომ.

„და ეგ როგორ? მფლობელი როგორ უნდა მოატყუო?!“ — დაინტერესდა №0578.

„მარტივად. უფრო სწორედ, ძალიან მარტივად. მაგალითად, რომელიმე სახლში საინტერესო ნახატი კიდია. მეუბნებიან ამ ნახატს, ინტერნეტით ვპოულობ და ვიწყებ კონტურების ხატვას. შემდეგ, როცა სახლი მარტო რჩება და დამიჯერე, ნებისმიერი სახლი მარტო რჩება, შედიან ბინაში, ხსნიან ამ ნახატს, მოაქვთ ჩემთან და მე უკვე საბოლოო ფორმას ვაძლევ ასლს. მერე მიაქვთ ეს ასლი და კედელზე კიდებენ. ახლა ხვდები ხომ? იმათ ჰგონიათ, რომ ნამდვილი სურათები უკიდიათ, ნამდვილი კი გატანილი და გაყიდულია. რამდენიმე ოჯახი ვიცი, ჩემი ნახატებით რომ იწონებს თავს და ჰგონიათ, კაპიტალი აქვთ...“, — ისევ გაეცინა პიკასოს.

„მოიცა, ახლა მე შენ საინტერესო რამეს გეტყვი და არ მითხრა, მაგაზე არ მიფიქრიაო. შეგიკვეთეს, სიტყვაზე, იგივე ვან გოგი, რომლის ნახატიც შეიძლება მილიონი ღირდეს და შეიძლება უფრო მეტი. შენ ერთის ნაცვლად ორ ასლს ხატავ. ანუ ორ ცალს ამზადებ. შემკვეთი თავზე ხომ არ დაგადგება, არა?! მერე, როცა მოდიან, მიაქვთ ნახატი და შენ ნაღდის ნაცვლად იმათაც ასლს აძლევ, ანუ ორ ასლს. ერთი ასლი ბინაში მიაქვთ დასაბრუნებლად, მეორე ასლი კიდევ გასაყიდად. რა თქმა უნდა, ვერ ყიდიან, თუმცა შენ თავს იმართლებ, ეგებ ასლი ჰქონდათ და ხალხს ატყუებენო... შენ მილიონად შეფასებული ნახატი გრჩება და უკვე შენ ყიდი“, — დაასრულა მონოლოგი №0578-მა.

პიკასომ პატიმარს გაოცებით შეხედა, მერე დაფიქრდა და: „ვაჟკაცურად, რაზე ზიხარ?!“

„მაგას რა მნიშვნელობა აქვს?!“ — გაუკვირდა №0578-ს.

„ასეთი აზრი არც მე მომსვლია და არც არავის უთქვამს. მართალია, „პრისტუპნიკების“ დარწმუნება გაჭირდება, მაგრამ... ამას წინათ, პრინციპში, რაღა ამას წინათ, რამდენიმე წლის წინ რვა მილიონად შეფასებული ნახატის ასლი გავაკეთე. ვერ გაიტანეს ამ სირებმა, საზღვარზე დაიწვნენ, მაგრამ... მე რომ ის ნახატი დამეტოვებინა და ისინი მაინც ჩავარდნენ და იმათთვის ასლი წაერთმიათ... რვა მილიონი... გადამრევ შენ... სად იყავი აქამდე?!“ — პიკასო აშკარად ფიქრებში წავიდა.

„მოიცა, რვა მილიონიანი ნახატი?!“ — ისევ გაოცდა №0578.

„ჰო, რვა მილიონი... გამოიტანეს სახლიდან, ასლი გავაკეთე, მიიტანეს, ასლი დაკიდეს და საზღვარზე დაიჭირეს. მერე ატყდა ამბავი... ჰო, იმ ოჯახს მილიონი ისე აახიეს, სურათის დაბრუნების სანაცვლოდ, მაგრამ... მოიცა, ეგ რა მითხარი... მე ეგ რვა მილიონი რომ მეშოვა... ვახ რა...“ — პიკასო ძალიან შეწუხდა.

„და ამხელა მხატვარი კაცი ხულიგნობაზე რატომ დაგიჭირეს?!“ — ისევ ჰკითხა №0578-მა.

„ერთი შტერი მოვიდა, ნახატი მომიტანა, დროზე დამიხატე, სანამ მშობლები დაბრუნდებიანო. ვინ ასწავლა, არ ვიცი და რომ გამოვკითხე, გავარკვიე, რომ სახლში მოიპარა ნახატი და წამლის ფული უნდოდა. გავცოფდი, ჯერ იმის გამომგზავნს ვაგინე, მერე ამას და მუშტი-კრივი გაიმართა. ამ ჩხუბში ფუნჯიანი ხელი მოვიქნიე და ყურში შეერჭო ეს ფუნჯი. საავადმყოფოში წავიდა, იქიდან პოლიციაში დარეკეს და რადგან ცნობილი ოჯახისშვილი იყო, ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება და ხულიგნობა შემტენეს. ხომ არ ვიტყოდი, ნახატის გაყალბებას მთხოვდა-თქო, მერე დავიწვებოდი. ასე იდიოტურად წამოვედი სროკზე...“ — დანანებით გადააქნია თავი პიკასომ.

* * *

პიკასო ციხიდან 2014 წელს გამოვიდა და საქართველოში მხოლოდ ორი თვე დაჰყო. ახლა რუსეთში მოღვაწეობს და როგორც ამბობენ, ახლა იქაური მილიონერების სახლებს ამშვენებს მისი ასლები.

„ქისტები სირიაში ფულის გამო არ მიდიან“

„ჟურნალისტები იმდენს იზამენ, საყოველთაო არეულობას გამოიწვევენ“, — რას უყვებიან პანკისელები „ვერსიას“

ბაჩო ტურაშვილი
598-47-87-14

მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმის ხელშეწყობის ბრალდებით, სოფელ ჯოყოლოს ყოფილი იმამი (მაჰმადიანთა სულიერი წინამძღოლი, მოძღვარი. იმამი შეიძლება, მაჰმადიანური სახელმწიფოს მეთაურიც იყოს, რომლის ხელშიც მოქცეულია საერო და სასულიერო ხელისუფლება) აიუფ ბორჩაშვილი დააკავეს, პანკისიდან ქისტი ახალგაზრდები სირიაში ისევ მიდიან. ადგილობრივი მოსახლეობა ამ თემაზე მედიასთან საუბარს გაურბის, თუმცა „ვერსიამ“ სირიაში წასულთა ახლობლებსა და ოჯახის წევრებთან შეხვედრა მოახერხა. მათი თქმით, სირიაში წასულებს ფინანსური მხარე არ ამოძრავებთ...

შვიდი თვეა, სოფელ ომალოს მკვიდრი ლაშა ალხანაშვილი სირიაშია, დედა, ანა ალხანაშვილი ამბობს, რომ მის შვილს არასოდეს ნდომებია, ომში ჩართულიყო. სხვათა შორის, ლაშა ეპილეფსიითაა დაავადებული.

„არ მჯერა, რომ ჩემმა შვილმა სირიაში წასვლის გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო, ამაში უცხო ხალხის ხელი ურევია... ტყუილია, რომ ამბობენ, სირიაში წასული ხალხი ოჯახებს ფულს უგზავნისო. ჩემი ოჯახი სოციალურად დაუცველია და შემწეობის მეტი შემოსავალი არც გვაქვს. ლაშა ხშირად გვეკონტაქტება და მხოლოდ იმას გვეუბნება, კარგად ვარო... დანარჩენს არაფერს ამბობს... მის ცოლსა და 4 მცირეწლოვან შვილს მე ვინახავ. მიზეზს მაინც არ ასახელებს, რატომ წავიდა. დიდი ხანი არც ის ვიცოდით, სად იყო...“

პანკისელები ადასტურებენ, რომ სირიაში სოფელ დუმასტურის მკვიდრები — ამრან ბორჩაშვილი და მისი ბიძაშვილი ასლან ბორჩაშვილიც წავიდნენ, თუმცა ამ უკანასკნელის ოჯახის წევრები ამ ინფორმაცია უარყოფენ.

„ვინ თქვა, რომ ჩემი შვილი სირიაშია?! ჩემი შვილი თურქეთშია და მუშაობს. ყველაფერი ეს კი მონაჭორია და ჟურნალისტებიც იმდენს იზამენ, საყოველთაო არეულობას გამოიწვევენ. ნუ აყვებით ჭორებს და მსგავს ინფორმაციებს ნუ გაავრცელებთ. მინდა, ჟურნალისტებს მივმართო, ნუ ძაბავენ სიტუაციას“, — განუცხადა „ვერსიას“ ამრან ბორჩაშვილის მამამ.

ასლან ბორჩაშვილის ძმაც ამბობს, რომ ამრან ბორჩაშვილის მსგავსად, მისი ძმა თურქეთში მუშაობს: „ჩემი ძმა თურქეთშია სამუშაოდ და არა საბრძოლველად სირიაში. ტყუილია, რასაც ლაპარაკობენ“.

„ვერსია“ სირიაში წასული 18 წლის რამზან ბაღაკაშვილის ნათესავსაც გაესაუბრა, რომლის თქმითაც, რამზანი სირიაში ფულის ინტერესით არ წასულა და მას მხოლოდ სარწმუნოების დაცვა ამოძრავებს: **„რამზანის ოჯახს ძალიან უჭირს... სირიაში წასულ მებრძოლებს ხშირად ბრალს სხვადასხვა უკანონი ქმედებაში სდებენ, რაც შესაძლოა, იქაური ხელისუფლებისგან იმართება. პირადად, არ მაქვს სირიაში წასვლის სურვილი და არც წავალ, რადგან საქართველოში მშვიდად ცხოვრება მირჩევნია“.**

საგანგაშო სტატისტიკა — ალკოჰოლიზმი გაახალგაზრდავდა და სასმელს ქალებიც მიეძალნენ

რატომ არ აფინანსებს სახელმწიფო „აღკოჰოლიკების“ მკურნალობას და რა უნდა გაკეთდეს პრობლემის გადასაჭრელად

მაკა ლომაძე
555-27-95-13

ნარკომანიის პრობლემას უკვე არაერთი სტატია მივუძღვენით. ამჯერად, კიდევ ერთი საკითხით დავინტერესდით, რომელსაც, ნარკოლოგია მოიცავს — ალკოჰოლიზმით საქართველოში დღეს ბევრი ადამიანი იტანჯება. ზოგადად, ალკოჰოლიზმი, ნაკლებად მძიმე პრობლემადაა აღქმული. არადა, ნარკოლოგ დავით ვადაჭკორიას აზრით, სიკვდილიანობის მაჩვენებლით, ალკოჰოლიზმი, გლობალური მასშტაბით სამეულში შევიდა გულ-სისხლძარღვთა და ონკოლოდაავადებების მერე...

— ალკოჰოლიზმი მსოფლიოში მზარდი პრობლემაა და ამ მხრივ, არც ჩვენი ქვეყანაა გამონაკლისი. ტოპონიმშიც კი — „საქართველო“, რთველი ფიგურირებს, გენეტიკურ კოდში გვიდევს ალკოჰოლის მოყვანა-მოხმარება, მაგრამ პრობლემის ზერელე ხედვა მძიმე შედეგამდე მიგვიყვანს. ხშირად გაიგებთ: „რა მოხდა, კაცია და დალია“, „მოზარდია და გასინჯა“... დავინტერესდი მზარდი ოჯახური ძალადობის მიზეზებით, რომელმაც მთელი ქვეყანა შეძრა და აღმოჩნდა, რომ ამ შემთხვევების დაახლოებით 70% სწორედ ალკოჰოლიზმითაა გამოწვეული. სიკვდილიანობის მაჩვენებლით, ეს პრობლემა გლობალური მასშტაბით სამეულში შევიდა გულ-სისხლძარღვთა და ონკოლოგიური დაავადებების მერე.

ეს პრობლემა დგას ევროპაშიც და ჩვენთანაც, რადგან ალკოჰოლიზმი კატასტროფულად გაახალგაზრდავდა. თუ ადრე მძიმე ფორმის ალკოჰოლიზმის შემთხვევები „თეთრი ცხელებით“ და ფსიქიკური გამოვლინებებით გვხვდებოდა 40-50 წლის მერე, ახლა ასეთივე სირთულით 21-23 წლის ბიჭები მოუყვანიათ. ეს ტენდენცია შეიმჩნევა და მზარდია საბჭოთა კავშირის დაშლის მერე.

— და რა არის ალკოჰოლიზმის გაახალგაზრდავების მიზეზი?

— საქართველოში, მთავარი მიზეზებია უმუშევრობა, სოციალური ფონი, სტრესული გარემო, უხარისხო სასმელი... რეგიონებში საერთოდ კატასტროფული მდგომარეობაა — იქიდან პაციენტს რომ მივიღებთ, მშობელი გვეუბნება, მთელი სოფელი ასეთ დღეშიაო. ახალგაზრდები მთელი დღე ბირჟაზე დგანან, სამუშაო არ არის, ზოგიერთს კი ცოლი საზღვარგარეთ ჰყავს სამუშაოდ... სხვათა შორის, ბოლო დროს მნიშვნელოვნად მოიმატა ალკოჰლიზმმა ქალებში.

> **გახშირდა ახალგაზრდა გოგონების სტაციონარში დაწვენის შემთხვევები. ისინი ყველანაირ სასმელს მოიხმარენ. ადრე გაგიგიათ, საქართველოში, რესტორანში 15-20 ქალი შესულიყო და კაცივით, ჭარბი სასმელი მიეღო? ამის მიზეზი ისაა, რომ ქალებს გაცილებით მეტი ტვირთი დააწვათ და ოჯახურ, სოციალურ და სამსახურეობრივ სტრესს ვერ უძლებენ. ქალთა ალკოჰოლიზმის ევროპულ პრობლემასაც ფეხდაფეხ მიყვება საქართველო.**

— რა კეთდებოდა წინა მთავრობის დროს ამ კუთხით და რა კეთდება დღეს?

— არაპირდაპირი თანხა, რაც ალკოჰოლიზმით დაავადებულების მკურნალობას სჭირდება, დიდია და მძიმე ტვირთად აწევს სახელმწიფოს. ეს საკითხი იმიტომ წამოვჭერი, რომ არ ვიცი სხვა, არათუ ცივილური, არამედ არაცივილური ქვეყანა, სადაც სახელმწიფო ასე არასერიოზულად უყურებს ამ პრობლემას. ეს ხომ სოციალური პრობლემაა და ზუსტად ამ ფენიდან წამოსულ ხალხს, რომლებიც ალკოჰოლიზმამდე, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ სიდუხჭირემ მიიყვანა, ვეუბნებით, თვითონ მოიძიოს წარმოუდგენელი თანხა და იმკურნალოს. ეს ხომ აბსურდია? არ შეიძლება, ისეთ სოციალურ დაავადებას, რომელიც ოჯახურ ძალადობასა და მაღალ სიკვდილიანობას იწვევს, სახელმწიფო არ აქცევდეს სათანადო ყურადღებას. აქ ალკოჰოლიზმით დაავადებული პირის ოჯახს უწევს, თვითდაფინანსებით უმკურნალოს პაციენტს. არადა, ყველგან, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ეხვეწებიან, ოღონდ მოდი და იმკურნალეო. თანხაზე ლაპარაკიც არ არის. დიდი ტვირთია — საქართველოში, ზოგჯერ 1 000 ლარზე მეტი უჯდებათ მკურნალობა და ეს ხშირად, მხოლოდ ერთი ეტაპია. სამწუხაროდ, მთელ ქვეყანაში, სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ 25 000 ლარია ყოველთვიურად გამოყოფილი, თანაც რეგიონები არ იფარება. შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ არსებობს. მოკლედ, მისახედია მთელი სისტემა.

გაუმჯობესების ნაცვლად, მნიშვნელოვნად შემცირდა ალკოჰოლიზმის მკურნალობისთვის გამოყოფილი თანხაც და ხელმისაწვდომობაც. ბევრი რეკავს, მოდის, მაგრამ მკურნალობის საშუალება არ აქვს. როგორც იცით, დასავლეთში არის ჯგუფური თერაპიები, „ალკოჰოლიკების“ ანონიმური ჯგუფები. აქ მინიმალურია ასეთი საშუალება. არასამთავრობო სექტორი მცირე გრანტებით ცდილობს რაღაცას, მაგრამ სამწუხაროდ, პრობლემას ვერ ერევა. როგორც სხვა დამოკიდებულებას, ალკოჰოლიზმსაც ხანგრძლივი მკურნალობა და სარეაბილიტაციო პროგრამები სჭირდება, ასევე სოციალური დახმარება. ჩვენს ქვეყანაში კი არანაირი დამხმარე მექანიზმი არ არსებობს, რომ ადეკვატური ზომები მიიღო და სწორად მართო პრობლემა.

— მსმენია, სასმელს ნარკოტიკზე თავის დანებების მერეც ეძალებიან...

— დიახ, ხშირია ასეთი შემთხვევაც და პროცესი მძიმედ მიმდინარეობს. არის ორივეს მოხმარების ფაქტებიც. მიმდინარეობს განხილვები ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, მაგრამ როგორც ჩანს,

> **სახელმწიფო ჯერ კიდევ სრულად ვერ ისიგრძეგანებს მის სიმძიმეს. კარგია საყოველთაო ჯანდაცვა, მაგრამ ალკოჰოლიზმით დაავადებულების კონტინგენტი, რომელიც დაახლოებით 100-200 ათასია (ზუსტი ციფრი არ არსებობს), ჯერჯერობით, ამ სისტემის მიღმა რჩება. შეიძლება, ყველა არ არის მძიმე პაციენტი, მაგრამ რისკის ქვეშ არიან. ასეთი გულგრილი დამოკიდებულება ცუდ შედეგს მოიტანს. ეს პრობლემა გენეტიკურ ფონსა და მემკვიდრეობაზეც მოქმედებს.**

— შესაბამის ორგანოებს თუ მიმართეთ რეკომენდაციებით და რა უნდა გაკეთდეს პრობლემის გადასაჭრელად?

— რასაკვირველია. მიწერილი გვაქვს წერილი... მინისტრის მადლობელი ვართ ბევრი მიმართულებით, მაგრამ ამ პრობლემასთან დაკავშირებით, რეგრესს ვხედავ. მესმის, ამის გადაჭრა იოლი არ არის, საჭიროა კომპლექსური სერვისი – ფსიქოლოგი, ნარკოლოგი, ფსიქოთერაპევტი. რეაბილიტაცია კი არა, უმძიმესი მდგომარეობიდან გამოყვანაც ჭირს და მხოლოდ ერთჯერადად ხდება დახმარება სასწრაფოს ექიმების მიერ. პირველ რიგში, სახელმწიფომ, უნდა დათვალოს ალკოჰოლიზმით დაავადებულთა რაოდენობა, მერე დასახოს სტრატეგია და პრევენციული ზომებიც აუცილებლად უნდა გავატაროთ: სკოლებში ფსიქოლოგებმა უნდა ასწავლონ ბავშვებს, რა არის ალკოჰოლიზმი და რა გართულებებს იწვევს. ადრეულ ასაკში სასმელის მოხმარება კატასტროფაა. აუცილებელია, ბავშვებს ჰქონდეთ ინფორმაცია, რამხელა რისკებთანაა დაკავშირებული ალკოჰოლის მიღება. უნდა შეიქმნას ალტერნატიული სივრცეები — უფასო აუზები. ალკოჰოლიზმის განვითარების ორი წინაპირობა არსებობს: გენეტიკური ფაქტორი და სოციალური გარემო. ბევრი რამ იმაზეცაა დამოკიდებული, რამდენად შეუძლია ამა თუ იმ პირს სტრესთან გამკლავება. მიდრეკილება დეპრესიისადმი ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორია. არადა, მოჩვენებითია ეს გამოსავალი, რადგან შემდეგ, დეპრესიისა და ალკოჰოლიზმის ერთად მკურნალობა მოგვიწევს. სამწუხაროდ, მოსახლეობის დიდი ნაწილი ფსიქიკური აშლილობისადმია მიდრეკილი და ეს კონტინგენტი ყველაზე მოწყვლადია ალკოჰოლიზმისადმი.

— რამდენად სწორია ლუდის მიმართ მსუბუქი დამოკიდებულებაც?

— ყოველდღიურად და ჭარბი რაოდენობით ლუდის მიღება არ შეიძლება და მძიმე ალკოჰოლიზმს იწვევს. ლუდი გულს იმდენად დიდ ზიანს აყენებს, რომ მედიცინაში სპეციალური გამოთქმაც არსებობს — „ლუდის გული“.

— ამბობთ, რომ სასმელის მოხმარება, გარკვეულწილად ჩვენი გენეტიკური კოდია. საფრანგეთიც ვაზის ქვეყანაა და იქ ალკოჰოლიზმის პრობლემა რატომ არ დგას?

— ღვინის მოხმარების კულტურა შეგვეცვალა — ზღვარი მოიშალა. ამას ემატება მძიმე სოციალური ფონი. იმდენი პრობლემა აქვს ადამიანს, რეალობიდან გაქცევას ცდილობს და ყველაზე იოლი, ლეგალური გზა ალკოჰოლია. ამ პრობლემამ ძალიან დიდი მასშტაბი მიიღო. ალკოჰოლიზმი მსოფლიო გამოწვევაა და ამიტომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მეტ ყურადღებას აქცევს მას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი დიდი ბრიტანეთის ელჩს შეხვდა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ელჩს საქართველოში ალექსანდრა ჰოლ ჰოლს შეხვდა.

შეხვედრაზე საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივები, არსებული ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები და სამომავლო გეგმები განიხილეს. გიორგი მღებრიშვილმა და ალექსანდრა ჰოლ ჰოლმა შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებზე ისაუბრეს.

შს მინისტრმა და დიდი ბრიტანეთის ელჩმა იმედი გამოთქვეს, რომ ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობა უფრო გაღრმავდება.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ ბუპრენორფინის შემცველი 82 აბი ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული გიორგი მ. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ბუპრენორფინის შემცველი 82 აბი და 2 ნატეხი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. დადგინდა, რომ ბრალდებულმა ნარკოტიკი საქართველოში თურქეთიდან უკანონოდ შემოიტანა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

შსს-ს მოლდოვის რესპუბლიკის პოლიციის წარმომადგენლები ეწვივნენ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ევროპის პოლიციის კოლეჯის (CEPOL) გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, მოლდოვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მთავარი სამმართველოს წარმომადგენლები ეწვივნენ. ვიზიტის მიზანია სამართალდამცავ უწყებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და გამოცდილების გაზიარება.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში საკადრო პოლიტიკის, პროფესიული და უმაღლესი საპოლიციო განათლების, პროექტების კოორდინაციის, საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის და განხორციელებულ რეფორმებთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

ასევე გაიმართა შეხვედრები შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის, რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს, შსს-ს აკადემიის, შსს-ს მომსახურების სააგენტოს, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ის და საქართველოს საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენლებთან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები CEPOL-ის გაცვლით პროგრამაში 2013 წლიდან აქტიურად მონაწილეობენ. პროგრამის ფარგლებში ვიზიტები ხორციელდება პარტნიორი სახელმწიფოების სამართალდამცავ უწყებებში. შეხვედრებზე განიხილება კიბერდანაშაულის, არალეგალური მიგრაციის, ტრეფიკინგისა და სამართალდამცველთა სწავლების სისტემების საკითხები.

„ვერსიანიუსი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ავტომანქანაში გაზის მონტაჟი გაძვირდება?

ახალი რეგულაცია მძღოლებსა და გაზის კომპანიებს პრობლემებს უქმნის

ხელისუფლება გაზზე გადაყვანილი ავტომობილების შემოწმებას იწყებს, რასაც სავარაუდოდ, სერიოზული ჯარიმა მოჰყვება. მთავრობის 437-ე დადგენილებით, ბუნებრივ აირზე მომუშავე ავტომობილების მძღოლებმა ტექნიკური შემოწმება 2016 წლის 1 აპრილამდე უნდა გაიარონ. დადგენილება, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აწერს ხელს, ავტომობილების ტექნიკურ შემოწმებასთან დაკავშირებულ ცვლილებებს გულისხმობს. 437-ე დადგენილება 2015 წლის 25 აგვისტოს გამოქვეყნდა და ავტომატურად, ძალაში შევიდა. „ვერსია“ შეეცადა გაერკვია, რა ტიპის ცვლილებები შევიდა მთავრობის დადგენილებაში და რა სახის შემოწმება უნდა გაიარონ გაზზე მომუშავე ავტომობილების მძღოლებმა.

საქართველოს მთავრობის 437-ე დადგენილებაში, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე აირბალონიანი მოწყობილობის განთავსებას, ტექნიკურ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის შეფასებასა და უსაფრთხო ექსპლოატაციას ეხება, ცვლილებები შევიდა. ამ ცვლილებებით, განსაზღვრულ ვადებში, ბუნებრივ აირზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალებებში დამონტაჟებული აირბალონებისა და აირბალონიანი მოწყობილობის სისტემის იდენტიფიკაცია და ტექნიკური შემოწმება სავალდებულოა: **„აირბალონებისა და აირბალონიანი მოწყობილობის სისტემების ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის სავალდებულო პერიოდული შეფასების ჩასატარებლად, ინსპექტირების ორგანოს უფლებამოსილმა პირმა უნდა შეამოწმოს წარდგენილ ავტოსატრანსპორტო დამონტაჟებული აირბალონ(ებ)ის ან/და საშუალებაზე აირბალონიანი მოწყობილობის სისტემების შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი არქონის შემთხვევაში, ჩაატაროს აირბალონის ან/და აირბალონიანი მოწყობილობის სისტემების შემოწმება ამ ტექნიკური რეგლამენტის თანახმად. აირბალონების პერიოდული შემოწმება ხორციელდება შემდეგი პერიოდულობით: ა) ნახშირბადიანი ფოლადისგან ან ლითონპლასტიკისგან დამზადებული აირბალონების პერიოდული შემოწმება — სამ წელიწადში ერთხელ; ბ) ლეგირებული ფოლადისგან დამზადებული აირბალონების პერიოდული შემოწმება — ხუთ წელიწადში ერთხელ. იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებლის დოკუმენტაციით არ ირკვევა აირბალონის მასალის შემადგენლობა, ასეთი ბალონის შემოწმება სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ. აირბალონიანი მოწყობილობის სისტემების შემოწმება სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ“.**

რას ნიშნავს გაზზე მომუშავე ავტომობილების სავალდებულო ტექნიკური შემოწმება? კონკრეტულად რომელ უწყებას ექნება ინსპექტირების უფლება, რათა შესაბამისობის დოკუმენტი გასცეს? რა ეღირება ამ ტიპის შემოწმება და დოკუმენტი? რამდენი ღარით დაჯარიმდება მძღოლი, რომელსაც შესაბამისობის დოკუმენტი არ ექნება? სამწუხაროდ, მთავრობის 437-ე დადგენილებაში ეს დეტალები განმარტებული არ არის.

„ვერსიამ“ გაარკვია, რომ მართალია, პრემიერ-მინისტრის მიერ ხელმოწერილი დადგენილება უკვე ძალაში შევიდა, მაგრამ გაურკვეველია, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნება ახალი სტრუქტურა, თუ ამ ტიპის ინსპექტირების უფლება პატრულს დაეკისრება. „ვერსიას“ ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის თავმჯდომარე **დავით მესხიშვილი** ესაუბრება.

— ირკვევა, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აკრედიტაციის სააგენტო გამოაცხადებს კონკურსს, სადაც შეარჩევენ უწყებას, რომელმაც გაზზე გადაყვანილი ავტომობილები ტექნიკურად უნდა შეამოწმოს და შესაბამისობის დოკუმენტი გასცეს. არადა, მთავრობის 437-ე დადგენილება უკვე ძალაშია შესული, მაგრამ ამ დადგენილების გამოქვეყნებამდე, ჯერ უწყება უნდა შეექმნათ, შემდეგ კი მძღოლებისთვის გამოეცხადებინათ, კონკრეტულად სად უნდა გაევლოთ შემოწმება. ფაქტობრივად, დადგენილება ძალაშია შესული, მაგრამ არ არსებობს აკრედიტირებული სტრუქტურა, რომელიც ავტომობილებში დამონტაჟებულ გაზის სისტემებს შეამოწმებს. სამწუხაროდ, ამ დადგენილებაში განსაზღვრული არ არის თანხა, რა ეღირება სავალდებულო ტექნიკური შემოწმება და შესაბამისობის დოკუმენტი. ისიც კი არ ვიცით, რა ოდენობის ჯარიმის გადახდა მოუწევს მძღოლს, რომელსაც ასეთი დოკუმენტი არ ექნება. დავუშვათ, თქვენი ავტომობილის გაზზე გადაყვანა გსურთ, რა თქმა უნდა, მიდიხართ კომპანიაში, სადაც ამ სისტემას გიმონტაჟებენ და იღებთ საბუთს, რომლითაც პირობითად, ორ ან სამწლიან გარანტიას გაძლევენ. გაუგებარია, რატომ უნდა გაიაროთ კიდევ ერთი შემოწმება, რათა შესაბამისობის დოკუმენტი მიიღოთ. სამწუხაროდ, მთავრობის ამ დადგენილებაში ეს საკითხიც არ არის გარკვეული, ანუ კონკრეტულად ვის ეხება ასეთი შემოწმება — მძღოლებს, რომლებმაც დიდი ხნის წინ დაამონტაჟეს გაზის სისტემა, თუ მათაც, რომლებსაც ახალი დამონტაჟებული აქვთ.

— როგორ ფიქრობთ, რა არის მთავრობის 437-ე დადგენილების მიღების მთავარი მიზეზი?

— უსაფრთხოების თვალსაზრისით, ვფიქრობ, ასეთი შემოწმება აუცილებელია. სამწუხაროდ, მძღოლების უმრავლესობამ საკუთარ ავტომობილებში დამონტაჟებული აირბალონების სისტემის ისტორია არ იციან. ეს იმას ნიშნავს, რომ გაზზე გადაყვანილი ავტომობილი შეიძინა, რომელიც გაყიდა და სხვამ იყიდა, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელმა არ იცის, რა ტიპის სისტემაა დამონტაჟებული მის ავტომობილში, რადგან სრული ინფორმაცია, როდის დამონტაჟდა ეს სისტემა, სიმკვრივე ხომ არ დაკარგა და ასე შემდეგ, უკვე დაკარგულია. ამიტომ ცუდი არ არის, თუკი ასეთი კონტროლი დაწესდება, მაგრამ მთავრობის 437-ე დადგენილება მოუმზადებელია. როგორც უკვე გითხარით, გაუგებარია, სად უნდა შეამოწმოს ადამიანმა გაზზე გადაყვანილი ავტომობილი, ან კონკრეტულად რომელმა უწყებამ უნდა გასცეს შესაბამისობის დოკუმენტი. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუკი ამ ტიპის დოკუმენტებს ბაზარზე მოქმედი გაზის ლიცენზირებული კომპანიები გასცემენ. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ 437-ე დადგენილება მთავრობამ მოუმზადებლად და ნაჩქარევად მიიღო. უამრავი ადამიანი მირეკავს, რომლებსაც ვერაფერს ვპასუხობ, რადგან არანაირი ინფორმაცია არ მაქვს, სად უნდა მივიდნენ ავტოგაზზე გადაყვანილი ავტომობილების მძღოლები და რა ტიპის საბუთი უნდა აიღონ.

— როგორ ფიქრობთ, ახალი სტრუქტურა შეიქმნება შსს-ში, თუ ამ ფუნქციას პატრული შეითავსებს?

— სამწუხაროდ, არავითარი ინფორმაცია არ გვაქვს და ეს დეტალი არც მთავრობის დადგენილებაშია განმარტებული. არადა, ეს გადაწყვეტილება უამრავ ადამიანს ეხება და ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება არ შეიძლება. მართალია, გაზზე გადაყვანილი ავტომობილების ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ ქვეყნის მასშტაბით, მათი რაოდენობა 300 000-ს აღწევს. საქართველოში 1 500 000 ავტომობილია და ჩვენი ინფორმაციით, ამ ავტომობილების მესამედი, გაზის სისტემითაა აღჭურვილი. გარდა ამისა, ქვეყნის მასშტაბით, 50 000 ტაქსია, რომელთა უმრავლესობა გაზზე მუშაობს.

***

მთავრობის 437-ე დადგენილებას მძღოლებისა და ამ სფეროს სპეციალისტების აღშფოთება მოჰყვა, რასაც სოციალურ ქსელებსა და ფორუმებზე აშკარად გამოხატავენ. საზოგადოების დიდი ნაწილი შიშობს, რომ ახალი რეგულაცია საკმაოდ მკაცრი იქნება — სავალდებულო შემოწმებასა და შესაბამისობის დოკუმენტიც ძვირი იქნება. ახალი სტრუქტურის შექმნა კი ამ ბაზარზე მოქმედი, გაზის ლიცენზირებული კომპანიების დიდი ნაწილის დახურვას გამოიწვევს. ექსპერტების, ტრანსპორტის სფეროს სპეციალისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის გაურკვეველია, რა ვალდებულებას იღებენ მძღოლები აირბალონიანი ავტომობილების შემოწმებით და რამდენად დაიცავს კანონი მათ ინტერესებს.

„ვერსიამ“ გაარკვია, რომ მთავრობის 437-ე დადგენილების მიღებამდე, ტრანსპორტის სფეროს სპეციალისტებთან და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან შესაბამისი კონსულტაციები არავის გაუვლია. არადა, დადგენილება ბუნდოვანია, რომელიც დამატებით განმარტებებს მოითხოვს.

„ავტოგაზ ჯორჯია“ გაზის მონტაჟის ლიცენზირებული კომპანიაა, რომლის წარმომადგენელმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ აირბალონიანი მოწყობილობის სისტემის მონტაჟი 800 ლარიდან, 2 000 ლარამდე ჯდება. ამ შემთხვევაში, ფასს ავტომობილის ძრავის სიმძლავრე და კონკრეტული სისტემის სტანდარტი განსაზღვრავს:

„რაც შეეხება ავტომობილებში გაზის სისტემის ხარისხის შემოწმებას, ჩვენ ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული სხვა შპს-სთან, რომელიც ამ ტიპის ლიცენზიას გასცემს. შპს ჩვენს მიერ დამონტაჟებული გაზის სისტემას ამოწმებს, რომელიც გაზის სისტემის შესახებ, სამწლიან, ე.წ. ტექდათვალიერების საბუთს გასცემს. რაც შეეხება აირბალონებს, მათ თავისი პასპორტები მოჰყვება, შესაბამისად, აირბალონებიც მოწმდება, აპარატურაც, მონტაჟიც, სისტემაში ჩასხმული ბუნებრივი აირიც და მხოლოდ ამის შემდეგ გაიცემა სამწლიანი ლიცენზია“, — განუცხადეს „ვერსიას“ „ავტოგაზ ჯორჯიაში“.

მთავრობის 437-ე დადგენილების შესახებ, „ავტოგაზ ჯორჯიას“ წარმომადგენლებმა პრესისა და ტელევიზიის საშუალებით შეიტყვეს. კომპანიაში აცხადებენ, რომ ამ დადგენილებას, შესაძლოა, აირბალონიანი სისტემის მონტაჟის გაძვირება მოჰყვეს. გამორიცხული არ არის, რომ გაზის სამონტაჟო კომპანიების დიდი ნაწილი დაიხუროს, ხოლო ის, რომელიც ბაზარზე დარჩება, ცხადია, მომსახურებას გააძვირებს.

ლიბერთი ბანკმა დამსახურებული პედაგოგები დააჯილდოვა

მასწავლებელთა საერთაშორისო დღე პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში აღნიშნეს

5 ოქტომბერს, მასწავლებელთა საერთაშორისო დღეს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში საზეიმო მიღება გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, ლიბერთი ბანკის დირექტორი არმენ მატევოსიანი და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი გიორგი მაჩაბელი ესწრებოდნენ. საზეიმო მიღებაში 100 პედაგოგი მონაწილეობდა, რომლებსაც სტუმრები მიესალმნენ და წარმატებები უსურვეს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ, სამ დამსახურებულ მასწავლებელს სამკერდე ნიშანი — „ამაგდარი“ გადასცა. სამინისტრომ პედაგოგები მომავალი თაობის აღზრდაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დააჯილდოვა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა გიორგი მაჩაბელმა, თამარ სანიკიძესთან ერთად, ცენტრის მიზნობრივ პროგრამებში მონაწილე მასწავლებლები და დამსახურებული, ასაკოვანი პედაგოგები დააჯილდოვა. ცენტრის სახელით, 12 ასეთ პედაგოგს მადლობის სიგელები და საჩუქრები გადასცეს.

8 დამსახურებული პედაგოგი, რომლებიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს ასწავლიან, ლიბერთი ბანკმა ფულადი პრიზებით დააჯილდოვა. ბანკის გენერალური დირექტორის, **არმენ მატევოსიანის** განცხადებით, საკმაოდ სწრაფად ცვალებად 21-ე საუკუნეში, პედაგოგის პროფესია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყნის წარმატებაში მათ უდიდესი წვლილი შეაქვთ:

„ყველას ძალიან გვიხარია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგიდითა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, ჩვენს ქვეყანაში უამრავი საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. ლიბერთი ბანკს, რომელიც ქვეყნის მასშტაბით, საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართული სუბიექტების 80%-ზე მეტს ემსახურება, სურს, მოკრძალებული წვლილი შეიტანოს დღევანდელ საზეიმო ღონისძიებაში. მცირე ფულადი პრიზებით ვაჯილდოვებთ იმ 8 წარჩინებულ პედაგოგს, რომლებიც სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მუშაობენ. ეს საკმაოდ რთული, მაგრამ ამავდროულად, მნიშვნელოვანი საქმეა, რათა უნარების შეზღუდულობის ხარისხის განურჩევლად, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქე, საზოგადოების სრულყოფილი წევრი გახდეს“.

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

უწყლოდ დარჩენილი ჭაჭიეთელები შველას ითხოვენ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაჭიეთის მაცხოვრებლებს სასმელი წყლის პრობლემა აქვთ. მათი განცხადებით, არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, ყურადღებას არავინ აქცევს და მთელი სოფელი მხოლოდ ერთი წყაროს იმედადაა დარჩენილი. სოფელში ეს პრობლემა განსაკუთრებით ზაფხულობითაა, როცა წყალი ყველაზე მეტადაა საჭირო. აქაურებს უწყლობა, უგზოობა, უმუშევრობა აწუხებთ.

შეიძლება ითქვას, სოფელი ერთი ქუჩაა, ორივე მხარეს მდგომი სახლებით, რომელიც უმეტესად მიტოვებული ან დაკეტილია. ჭაჭიეთში, როგორც ადგილობრივები ამბობენ, წყალი არამუდმივი სიამოვნებაა. მოსახლეობის თქმით, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ იმედი გაუჩნდათ, ერთხელ და სამუდამოდ, ეს პრობლემა მოგვარდებოდა, თუმცა ასკომლიანი სოფელი კვლავ უწყლოდაა.

ადგილობრივი **ლეილა კალანდაძე** ამბობს, რომ ხშირად სასმელ წყალს მეზობელი სოფლებიდან ეზიდებიან. წყლის რეზერვუარს, საიდანაც ონკანში წყალი იშვიათად მოედინება, კერძო პირი მიწის ნაკვეთის მოსარწყავად იყენებს. ადგილობრივები პრობლემის მოგვარებას სოფლის რწმუნებულს სთხოვენ. მათი აზრით, წყლის რეზერვუარს ადგილობრივი ხელისუფლება უნდა აკონტროლებდეს: **„ამ ეტაპზე ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა უწყლობაა. თავიდანვე ვამბობდით, რომ წყალი შეცდომით გაიყვანეს, როდის იყო, თავდაღმართიდან წყალი აღმართში ადიოდა? უკუღმა აკეთებენ ყველაფერს. როგორც გავიგეთ, სადაც აუზია, იქიდან ვიღაცას გადაჰყავს წყალი და ბოსტნებს რწყავენ. ხელისუფლება არ უნდა დაინტერესდეს ამ საკითხით?! შეამოწმონ, სიმართლეა თუ არა. ჩემი შვილის სიკვდილის შემდეგ აღარაფრის მეშინია და ვაცხადებ, რომ ხელისუფლების სათავეში ივანიშვილის მოსვლა თავიდანვე ეჭვს იწვევდა და ეს იყო დიდი შეცდომა, ამათ არაფერი გაუკეთებიათ, ყველა დაპირება ტყუილი აღმოჩნდა“.**

ადგილობრივი მკვიდრი **ლეილა ნავროზაშვილი** წყალს ყოველ დილით მეზობლისგან ეზიდება. ყოველდღე რამდენიმე „ბალონის“ მოტანა უწევს, მაგრამ როგორც ამბობს, ოჯახისთვის ესეც არასაკმარისია: **„ადგილობრივ ხელისუფლებას მხოლოდ არჩევნების წინ ვახსენდებით და მხოლოდ მათ სასარგებლოდ. ვინც ჩამოვიდა სოფელში დასასვენებლად, ყველა გაიქცა. ზაფხულში რომ ათი დღე წყალი არ იქნება, როგორ უნდა იცხოვრო? ყველა დილას წყლის ზიდვით ვიწყებთ. ვერ წარმოიდგენთ, რა ძნელია. წყალი გაგვიკეთონ სოფელში, ბევრს ხომ არაფერს ვითხოვთ. წლებია ასეთ მდგომარეობაში ვართ“.**

მოსახლეობის ერთადერთი საარსებო წყარო თხილია. სხვა სოფლების მსგავსად, ჭაჭიეთშიც დგას დასაქმების პრობლემა. ახალგაზრდები სამუშაოდ თურქეთში მიდიან.

„აქ გზები ისეა გასაკეთებელი, მანქანა ვერ დადის. დიდი მანქანებიც ვეღარ აღწევს სოფლის ზედა დასახლებამდე. არჩევნებზე ყველას ვჭირდებით და მერე ვახსენდებით ვინმეს? წლებია ჩვენი ამბავი აღარავის უკითხავს. გზის დაგების იმედიც არ მაქვს. გაწამებულები და გატანჯულები ვართ. აი, თხილი სადამდე უნდა გეყოს? აღარ არსებობს სოფლის მეურნეობა, ჩამკვდარია ყველაფერი. ყველანი ბოსტანში ვმუშაობთ, ვწვალობთ და სიმინდს თუ მოვიწევთ, ეგაა ჩვენი შემოსავალი. არავინ მუშაობს ამ სოფელში. თურქეთში არიან გადახვეწილები. ათი-თხუთმეტი წლის ბაღანა თურქეთში რომ წავა სამუშაოდ და 70 წლის მოხუციც, ესაა საქმე? ერთ მოზარდს და ახალგაზრდას ვერ ნახავ სოფელში. ყველა წასულია. იმდენი მარტოხელა და გაჭირვებულია, არ დაიჯერებ. რა უნდა გააკეთონ აწი ისეთი, რომ ხალხმა სული მოითქვას? აშენებული ქვეყანა დაანგრიეს და აწი, აღარაფრის იმედი არ მაქვს. არც შარშან მინახავს მაგათი რამე გაკეთებული და არც წელს“, — აცხადებენ ადგილობრივები. მათი მონათხრობი ერთმანეთს ჰგავს და სიმძიმით ერთმანეთზე უარესია. სოფელში უკიდურესად შეჭირვებული ძალიან ბევრი ოჯახია, რომელთაც, საცხოვრებელი პირობების გათვალისწინებით, სოციალური დახმარება ეკუთვნის, მაგრამ არ აქვთ. ერთადერთი, რითაც ჭაჭიეთი, მეზობელი სოფლებიდან „წინა პლანზე“ დგას, ბუნებრივი არია, რომელიც, ადგილობრივების თქმით, სააკაშვილის დროს გაკეთდა. **„ერთადერთი, რაც გვაქვს, ბუნებრივი აირია, რომელიც წინა ხელისუფლების დროს გაკეთდა და უმნიშვნელოვანესია. ძალიან შეგვიწყო ხელი მაშინდელმა ხელისუფლებამ და განვადებით შევიყვანეთ. თუ სოფელში გზისა და წყლის საკითხი მოგვარდება, ხალხი აქედან აღარ გაიქცევა“,** — ამბობს ჭაჭიეთის მკვიდრი მაია მათითაიშვილი.

სოფლის ახალგაზრდობის თქმით, მათი მოთმინების ფიალა სავსეა და მეტს ვეღარ აიტანენ, ერთ-ერთ გამოსავლად კი სოფლიდან წასვლას მიიჩნევენ. ჭაჭიეთელი ახალგაზრდები თავადვე სვამენ კითხვას და თავადვე პასუხობენ: „რა არის ჩვენს სოფელში? წყალი არაა რომ დავლიოთ, გასართობზე საუბარიც ზედმეტია!“

სოფელ ხიდისთავის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული **დავით ვასაძე,** რომლის თემშიც შედის სოფელი ჭაჭიეთი, ამბობს, რომ წყლის ავზი დამშრალია: **„წყლის ავზი გვალვის გამო დამშრალია და ფიზიკურად არ არის წყალი. ოცი დღეა არც ჩოხატაურს წაუღია წყალი, თუმცა მანამდე გრაფიკით სარგებლობდნენ ჩვენი ავზიდან. არავის გადაუყვანია წყალი ბაღების მოსარწყავად, არ არის წყალი და როგორ გადაიყვანდნენ. ერთი წვიმა უნდა და ეს პრობლემა მოიხსნება“.**

ოზურგეთში მოსახლეობა ინდურ კომპანიას უპირისპირდება

ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ამჟამინდელი მესაკუთრე ინდური კომპანია „აიფი“ ტყვიის ჩამოსხმას ცდილობს. ამ უკანონო ქმედებას ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებლები აპროტესტებენ. ადგილობრივები უკანონოდ წარმოებულ სამუშაოებზე საუბრობენ, რაც მათი სიცოცხლისთვის საფრთხისშემცველია, საუბარია დაავადებათა გავრცელების მაღალ რისკებზეც.

ინდურმა კომპანიამ არალეგალური საქმიანობა შარშან, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის შენობაში დაიწყო. ოფიციალური ინფორმაციით, ადგილზე უცხოელ ინვესტორებს პლასტმასები უნდა გადაემუშავებინათ, რაც, როგორც ადგილობრივები გვეუბნებიან, მოგვიანებით, ტყვიისა და გაფუჭებული აკუმულატორების დამუშავებით შეიცვალა. ადგილობრივების თქმით, აკრძალულ საქმიანობას ისინი, ძირითადად, ღამის საათებში ეწეოდნენ და გადასამუშავებელი მასალით დატვირთული მანქანებიც ქარხანაში შუაღამისას შედიოდა. მოსახლეობა ამტკიცებს, რომ ღამის საათებში მძაფრი და აუტანელი სუნის გამო ისინი ფანჯრების გაღებასაც ვერ ახერხებენ: **„ჩვენი პრობლემა ისაა, რომ მანქანათმშენებელ ქარხანაში უცხოელებს გაკეთებული აქვთ რაღაც საამქრო. ამუშავებენ აკუმულატორებს, რის გამოც ღამით დგება მწვავე, სულისშემხუთველი სუნი. გვყავდა ბატონი ბეგი და დაგვპირდა, რომ არ გაკეთდებოდა, მაგრამ, ხომ იცით, ციხე შიგნიდან ტყდებაო. ითქვა, რომ ისევ მიმდინარეობს აკუმულატორების გადამუშავება. ღამით როცა გაიხედავ ჩანს, თეთრი კვამლი ამოდის, საშინელი სუნი დგება, ფანჯრებს ვეღარ ვაღებთ. ჩვენი შვილები როგორები გაიზრდებიან? ყველა დაავადებულია, ბავშვებს სუნთქვა უჭირთ, გაიზარდა სიმსივნით დაავადებულთა რიცხვიც“.**

ადგილობრივი მკვიდრის, **დალი სალუქვაძის** განმარტებით: **„ღამით, ვადაგასულ აკუმულატორებს ამუშავებენ, ტყვიას ადნობენ და ბუნებრივია, მისი გამონაბოლქვი სეროზულ ზიანს აყენებს როგორც ცოცხალ ორგანიზმს, ასევე გარემოსაც. მივმართეთ თხოვნით პარლამენტს, შეესწავლათ, რა ხდებოდა აღნიშნულ საწარმოში. ჩამოვიდა ოზურგეთში ბირთვული უსაფრთხოების დეპარტამენტის სპეციალური წარმომადგენლობა და მოხდა სასწაული, დაიწერა დასკვნა, რომელიც აბსოლუტურად ყალბია, არ შეესაბამება სინამდვილეს. აქტში ხაზგასმით წერია, რომ სოფელ ლიხაურში ინდური კომპანიის მიერ მსგავსი სამუშაოები არ მიმდინარეობს. ისიც იყო აღნიშნული, რომ ჟურნალისტების მიერ მოპოვებული მასალები სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. აქ ძალიან დიდი გაუგებრობა მოხდა, როგორ შეიძლება ლიხაურზე იყოს საუბარი, როცა ქარხანა ექადიაზე მდებარეობს, კომისიამ კი სულ სხვა ტერიტორია შეისწავლა“.**

გურიის მხარის გუბერნატორი, **გია სალუქვაძე** აცხადებს რომ, საკითხი დღის წესრიგში დგას, მიმდინარეობს ანალიზების აღება და იმ შემთხვევაში, თუ კანონდარღვევა დაფიქსირდა, გადაწყვეტილება მყისიერად, კანონის დაცვით იქნება მიღებული.

გიორგი სირაძე

ლანჩხუთის საბავშვო ბაღში აღსაზრდელებს გაფუჭებულ ყველს აჭმევდნენ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საბავშვო ბაღში სააღმზრდელო პროცესი ორი დღით შეწყდა.

ამის მიზეზი ბაღში გაფუჭებული საკვების არსებობა გახდა, რომელიც ლანჩხუთის ბაღების ცენტრმა აღმოაჩინა. აღნიშნული შემთხვევის გამო, სამსახურიდან გათავისულდნენ ხაჯალიის საბავშვო ბაღის მენეჯერი და მზარეული. ლანჩხუთის ბაღების ცენტრის ხელმძღვანელი დავით წულაძე აცხადებს: **„ჩემი ბრძანების საფუძველზე შეწყდა სააღმზრდელო პროცესი. გაფუჭებულ ყველთან ერთად, ახალი ყველიც ინახებოდა. აუტანელი, საშინელი სუნი იდგა. აღნიშნული შემთხვევის გამო, სამსახურიდან გათავისუფლდა სამი ადამიანი“.**

„პირველი“

შსს-მ გორში „ვითიბი ბანკის“ დაყაჩაღების ფაქტი გახსნა

შსს-ს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1972 წელს დაბადებული ზაქრო ა. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული 2015 წლის 25 აგვისტოს გორში, სამეფოს ქუჩაზე, „ვითიბი ბანკში“ შეიჭრა, მოლარე-ოპერატორს 4865 ლარი, 800 აშშ დოლარი, 200 ევრო გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

1.წნევის ერთეული SI სისტ.
2.ლოდ-სატყორცნი მანქანა ძველად
3.თვით-მფრინავის საჰაერო ხრახნი
4.ძველ-რომაული ვერცხლის მონეტა
5. ჯუჯა კამეჩი
6. ამაზონის დელფინი
7.მკრთალი შუქის რკალი მთვარის გარშემო
8.იგივეა, რაც სიფილისი
9.სოკოს გამრავ-ლების ორგანო
10. ბინძური თავლების პატრონი
11. ძაღლის ჯიში
12.მოცარ-ტის ოპერა „... ჟუანი“
13. „ქვინის“ გიტარისტი ბრაიან ...
14.(ძვ.) მედროშე
15.გამო-ფენა 3 წელში ერთხელ
16. სასრო-ლეთი
17.ფრანგ. კლასიკური კრემიანი ღვეზელი
18.გაზვიადებ. დამყარებუ-ლი მხატვრ. ხერხი
19. მეფე აიეტის ასული
20.კუნძ. კრეტას უმაღლესი მწვერვალი
21. ფრანგული კოსმეტიკ. ფირმა
22.ყველაზე მაღლა მდებარე ტბა
23. თმის მცენა-რეული საღებავი
24. სვა-ზილენდის დედა-ქალაქი
25.საფ-რანგეთის გვიანას დედაქალაქი
26. მდინარე იტალიაში
27.(ძვ.) ალე-გორ. იგავები ცხოველთა შესახებ
28. პოეტი მურმან ...
29.ბენზინის ძრავიანი ავ-ტომობილის შემქმნელი
30. ქართული მხატვრული ფილმი
31. ბიბლი-ური მოსეს ძმა
32. ქაღალ-დის ფულის ნიშანი
33.წყლის ასადუღებ. ჭურჭელი ჩაისათვის
34.თე-თრი ლაქა თვალის გუგაზე
35. კავკასიის მთიელთა სოფელი
36. კარგი ამინდი
37.პატარა ნიჩაბი ცომის ასაფხეკად
38.წიგნის ან რვეული გარეკანი
39. აშშ-ის კოსმოსური სააგენტო
40. სახოტბო შეძახილი იუდაიზმში
41. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
42. მდინარე ბელარუსში
43. მწერალი ... გოთუა
44. პირისახის ძვალი
45.გაეროს „შეფი“ ... გი მუნი
46. მტაცებელი თუთიყუში
47. დედის ან მამის ძმა
48.ლიტე-რატურული პრემია საქართველ.
49. ალბანეთის დედაქალაქი
50. კრიკეტის მოედანი
51.ევროპ. თოვლის ბაბუა ... კლაუსი
52. სამ-კურნალო მცენარე
53. დიზაინერი ... კარანი
54. „ფიატის“ მოდელი
55.ორთქლის მანქანის გამომგო-ნებელი
56. სიმინდის ყვავილედი
57. შხამი-ანი გველი
58. თანაბარი ანგარიში ფეხბურთში
59. ორი წერტილი კამათელზე
60. ცხვირით აღქმული შეგრძნება
61.შოტ-ლანდიის დედაქალაქი
62. ცხენ-სანი ჯარი ძვ.რომში
63.ინდიელი ხალხი სამხრეთ ამერიკაში
64. დანანების გამომხ-ატველი შორიდებული



გახდომაში შუქი გვიშლის ხელს

ამერიკელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ ადამიანის წონაში მატება ხელოვნური შუქის „დამსახურებაა“. გამოკვლევებისას აღმოჩნდა, რომ კარგად განათებული დასახლებებისა და დიდი ქალაქების მცხოვრებნი გაცილებით სწრაფად იმატებენ წონაში, ვიდრე სოფლის მკვიდრნი, იმ პირობებშიც კი, თუ ისინი ერთი და იგივე რაოდენობის საკვებს იღებენ. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ღამის თევა ადამიანს მადას უღვიძებს, ძილის წინ მიღებული საკვები კი ყველაზე ხშირად ცხიმოვან ქსოვილებში დაილექება. ასეთი ეფექტი აქვს არა მხოლოდ ჩვეულებრივ ნათურებს, არამედ ნებისმიერ არაბუნებრივ სინათლეს, რომელსაც ტელევიზორის ან კომპიუტერის ეკრანი გამოსცემს, — დაასკვნეს სწავლულებმა. თაგვებზე ჩატარებული ექსპერიმენტისას გაირკვა, რომ ცხოველებმა, რომლებიც ღამეს სინათლეში ათევდნენ, წონაში ორჯერ მოიმატეს იმათთან შედარებით, ვისაც სიბნელეში ეძინა. უფრო ადრე კი კანადელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ დაძაბული ინტელექტუალური სამუშაო აჩქარებს ნივთიერებათა ცვლას, აიძულებს ადამიანს, დახარჯოს ბევრი ენერგია და გახდეს. თუმცა, ზოგჯერ წონაში დაკლების ასეთი მეთოდი ჯანმრთელობას არყევს, რადგან ადამიანის თავის ტვინის უჯრედებისა და სისხლძარღვების ნეიროდეგენერაციას იწვევს.

ბებიებს აქირავებენ

ოჯახურ საქმელს არაფერი შეედრება, თანაც თუ ის საყვარელი ბებიის მიერაა მომზადებული, მაგრამ სამწუხაროდ, თანამედროვე ბავშვები ხშირად მოკლებულნი არიან ამ სიამოვნებას, რადგან შორს ცხოვრობენ ბებიებისგან. ამით ისარგებლა ერთმა პარიზულმა კომპანიამ Lou Papé და ბებიების „შეკვეთის“ სამსახური აამოქმედა. აქ დასაქმებულ ქალბატონებს არ აქვთ სპეციალური განათლება, მაგრამ კარგად ამზადებენ ტრადიციულ კერძებს. გარდა საქმლის კეთებისა, მოწვეული ბებია ოჯახს ბავშვებთან უერთიერთობის შეუფასებელ გამოცდილებას სძენს: ასწავლის მათ მაღაზიაში პროდუქტის არჩევასა და კერძების მომზადებას, უყვება ზღაპრებს. კომპანიის შტატში უკვე რამდენიმე ათეული კულინარი ბებიაა. ყოველ მათგანს განსაზღვრული სპეციალიზაცია აქვს — მარტივი დესერტებიდან 4 კერძისგან შემდგარ სადილამდე.

ბავშვებს კითხვას კატები „ასწავლიან“

პროგრამა „წიგნის მეგობრების“ ფარგლებში, აშშ-ში, ბერკსის ოლქში მდებარე სკოლების 1-8-კლასის მოსწავლეები ცხოველების გადარჩენის ლიგის ადგილობრივ განყოფილებაში დადიან, სადაც ხმამაღლა უკითხავენ წიგნებს კატებს. ოთახში ცხოველების არსებობა მოსწავლეებს კითხვის უნარს უვითარებს — ადამიანის ოთხფეხა მეგობრები მსმენელის ეფექტს იძენენ, რომელსაც ამავდროულად, არ შეუძლია ბავშვის უნარის შეფასება არც სიტყვით და არც ჟესტით. კატა ვერ გაკიცხავს მათ ცუდი კითხვისთვის, სამაგიეროდ, ყოველთვის შეიძლება კატებს მიეფერო, ეს კი ბავშვებს უფრო ამშვიდებს. ტაფტსის უნივერსიტეტის სწავლულთა მონაცემებით, პროგრამა „წიგნის მეგობრების“ მონაწილეები ამ კითხვის საათების დროს უფრო ყურადღებიანები ხდებიან ამა თუ იმ საგნის მიმართ და უკეთ ახდენენ კონცენტრაციას დასახული ამოცანისადმი. გარდა ამისა, მკვლევარების განცხადებით, ამ მოსწავლეებმა სკოლაში სხვა საგნების მიმართაც მეტი ყურადღება გამოიჩინეს და უკეთ სწავლობენ.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲛᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	3			2				
	9	8						
			1	4		2	9	
		7		3		1	4	
9			8		5			3
	2	1		9		8		
	7	3		5	2			
						3	5	
				7			8	

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

					4			
1	8						5	
5	4		2	8	7	6		
4					1		7	
7		2				1		8
	1		3					5
		6	1	4	5		2	3
	5						6	1
			6					

ᲠᲗᲣᲚᲘ

						3		
4					8			
		7	2	5		1		4
	2		7				4	3
			8		5			
6	3				2		5	
5		8		9	1	6		
			5					9
		2						

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

							6	8
	9				5	4	3	
1				6				
3					7	8	4	
5	6			8			1	7
	7	8	6					3
				1				5
	3	6	7				8	
8	1							

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲕᲚᲘᲜᲔᲡ

ბრიტანელმა მეცნიერებმა გადაწყვიტეს, ბედნიერი პროფესიები გამოევლინათ. მათ გამოკითხვა ჩაატარეს და გაარკვიეს, რომ ყველაზე ბედნიერ პროფესიებად ნისლიან ალბიონზე პარიკმახერობა და კოსმეტოლოგობა ითვლება. სიაში ბოლო ადგილი მშენებლებმა და ბანკის თანამშრომლებმა დაიკავეს, რადგან ისინი სხვებზე მეტად ყოფილან უკმაყოფილოები საკუთარი პროფესიით. გამოკითხულთა 50% სამუშაოს კარგი ანაზღაურების გამო აფასებს, სხვებისთვის კი ბედნიერი პროფესიის მთავარი პირობა კოლეგებთან მეგობრული ურთიერთობა და ხელმძღვანელობის ყურადღება ყოფილა. ყველაზე ბედნიერი პროფესიების ტოპ-ათეული კი ასე გამოიყურება: კოსმეტოლოგი, პარიკმახერი, შეფ-მზარეული, მასწავლებელი, მარკეტოლოგი/პიარმენეჯერი, ბუჰხალტერი, მდივანი, არქიტექტორი, ჟურნალისტი, ავტომექანიკოსი.

ᲛᲫᲐᲠᲪᲕᲚᲘ ᲙᲝᲪᲜᲐᲛ ᲓᲐᲚᲣᲯᲐ

საფრანგეთის პოლიციამ, დნმ-ის ანალიზით, საიუველირო მაღაზიის მძარცველი იპოვა, რომელმაც წასვლის წინ მძევალს ლოყაზე აკოცა. როგორც ერთ-ერთი ფრანგული გამოცემა წერს, შარშან ბოროტმოქმედებმა საიუველირო ბუტიკის თანამშრომელი მძევლად აიყვანეს, საკუთარ სახლში წაიყვანეს, დააბეს, წყალი გადაასხეს, უთხრეს, რომ ეს ბენზინი იყო და დაწვით დაემუქრნენ, თუკი მათ მოთხოვნებს არ შეასრულებდა. ყაჩაღებს სიგნალიზაციისა და სეიფების კოდები უნდოდათ, სადაც ძვირფასეულობა ინახებოდა. მერე ერთ-ერთი მათგანი ბუტიკში „საქმეზე“ წავიდა, მეორე კი მძევალს დარაჯობდა. წარმატებული რეიდისა და მოთმინებისთვის, გოგონამ მძარცველის კოცნა დაიმსახურა, თუმცა გათავისფლებისთანავე პოლიციაში წავიდა, სადაც დეტექტივებმა მისი ლოყიდან დნმ-ის ანალიზი აიღეს. შედეგად დამნაშავეთა ბაზაში ადვილად გაშიფრეს მძარცველი და დააკავეს.

ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲘᲖᲘᲓᲐᲕᲡ

ერთ-ერთი სააგენტოს თანამშრომლებმა გამოკითხვა ჩაატარეს იმის გასარკვევად, რა პროფესიის კაცები და ქალები იზიდავს ყველაზე მეტად. აღმოჩნდა, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ჟურნალისტები და ადვოკატები მოსწონთ, მანდილოსნები კი უპირსტესობას ექიმებსა და არქიტექტორებს ანიჭებენ. ორივე სქესის წარმომადგენელთა არჩევანი ერთ ფაქტზე მიუთითებს: მათი რჩეული დამოუკიდებელი, თავისუფალი ადამიანი უნდა იყოს, შემოსავლიანი და საინტერესო. მამაკაცებს ასეთად ადვოკატები და მედიის წარმომადგენლები მიაჩნიათ, მათ ასევე მოსწონთ დიზაინერები, პიარმენეჯერები, ფოტოგრაფები, რეკლამისა და მარკეტინგის სპეციალისტები. მშვენიერ სქესს განსხვავებული შეხედულება აღმოაჩნდა, მათ ყველაზე მეტად მედიცინის მუშაკები და არქიტექტორები აღაფრთოვანებს, მოსწონთ ასევე შემოქმედებითი ადამიანები, ინჟინრები, რეჟისორები, მეცნიერები, დიზაინერები, ეკოლოგები და მეწარმეები.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

1	4	9	8	7	3	6	2	5
7	3	2	6	5	1	4	9	8
8	6	5	2	9	4	7	3	1
2	8	1	4	6	9	5	7	3
6	9	7	5	3	2	1	8	4
4	5	3	1	8	7	2	6	9
5	2	8	9	1	6	3	4	7
3	1	6	7	4	8	9	5	2
9	7	4	3	2	5	8	1	6

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

2	5	6	4	3	7	1	9	8
8	1	9	2	6	5	4	7	3
7	4	3	1	9	8	6	5	2
6	3	8	5	7	9	2	4	1
1	9	2	8	4	3	7	6	5
4	7	5	6	2	1	3	8	9
5	8	4	3	1	6	9	2	7
3	6	7	9	5	2	8	1	4
9	2	1	7	8	4	5	3	6

ᲠᲗᲣᲚᲘ

5	7	2	8	6	4	3	1	9
6	1	4	3	9	5	2	8	7
8	3	9	7	2	1	6	5	4
9	4	3	6	1	8	7	2	5
2	6	5	9	7	3	1	4	8
1	8	7	4	5	2	9	3	6
7	2	1	5	4	9	8	6	3
4	9	8	2	3	6	5	7	1
3	5	6	1	8	7	4	9	2

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

5	3	7	2	1	6	4	9	8
4	2	8	3	9	5	1	7	6
1	9	6	8	4	7	5	3	2
3	1	2	4	8	9	6	5	7
9	7	5	6	3	2	8	1	4
8	6	4	7	5	1	3	2	9
2	4	1	9	6	3	7	8	5
7	8	3	5	2	4	9	6	1
6	5	9	1	7	8	2	4	3

მე-10 გვერდი: 1. ზოოლატრია; 2. კარდიოლოგი; 3. ზიგზაგი; 4. ოტარიდი; 5. არსი; 6. რემა; 7. რადიკალი; 8. „ინდეევორი“; 9. ლაბა; 10. გურუ; 11. კაფია; 12. ფურისოდე; 13. არაქნე; 14. მუსტანგი; 15. დედაბერი; 16. იტერბიუმი; 17. ცხინვალი; 18. „ამადეუსი“; 19. ოდრიკალი; 20. ენიო; 21. ინა; 22. მოხიტო; 23. გუდრონი; 24. კივი; 25. მილდიუ; 26. დინარი; 27. მირიადი; 28. ქრომი; 29. სიმდი; 30. ლორენი; 31. სენი; 32. რომი; 33. სოია; 34. მუსიე; 35. ინინი; 36. უბე; 37. მოპსი; 38. უსამი; 39. მადა; 40. ეკალი; 41. ორლი; 42. ბიუსტი; 43. ანდრეა; 44. იელი; 45. ლოურენსი; 46. მადამ; 47. სლაიდი; 48. კოლაუ; 49. ამპირი; 50. ზმა; 51. სე; 52. მესა; 53. ანა; 54. ძე; 55. სიმონა; 56. რქა; 57. ბოი; 58. სოს; 59. კადრილი; 60. ლიე; 61. ეკი; 62. ალსუ; 63. ომარ; 64. ირაო.

მე-12 გვერდი: 1. ბულაჩაური; 2. ხანძარი; 3. ბურატინო; 4. ლეჩაქი; 5. ჩიჩერონე; 6. „ამბასადორი“; 7. ძალოსნობა; 8. რადა; 9. იაიკი; 10. ინარი; 11. „ჩოჩარა“; 12. ბოლიდი; 13. აინი; 14. ამია; 15. მაინ; 16. რაქიტი; 17. სასა; 18. ანი; 19. ინია; 20. დრონტი; 21. კორიფე; 22. ფრაიბურგი; 23. მკა; 24. კურტიზანი; 25. ლამარია; 26. ბინა; 27. აპო; 28. „მატრიცა“; 29. მაპუტუ; 30. ლუის ენრიკე; 31. კიბო; 32. აზუ; 33. იოტა; 34. რუბენსი; 35. ემალი; 36. პინტა; 37. ტანკი; 38. აბატისა; 39. ტომ; 40. უზი; 41. ზურაბი; 42. ადამი; 43. ბარაკუდა; 44. დრო; 45. ხაო; 46. გრაცი; 47. დარაბა; 48. დანია; 49. კაბუკი; 50. რინგო; 51. ბაიკა; 52. ნარინი; 53. ვუდუ; 54. მასაი; 55. საბო; 56. პიპინია; 57. ბრუკ; 58. ჩილე; 59. აქცია; 60. აგარა; 61. პარიკი; 62. პაი; 63. გუნო; 64. გედი; 65. ურდუ; 66. ტოგა; 67. გენი; 68. უნია; 69. ფუგუ; 70. ოფი; 71. ძუ; 72. ატამი; 73. ისანი; 74. ეგერი; 75. ძელქვა; 76. მარაკანა; 77. „ფიდელიო“; 78. პა; 79. იფრინდა; 80. დუბაი; 81. ლუჩია; 82. ომი; 83. ბრა; 84. ასი; 85. ოპიუმი; 86. ჩაი; 87. დაფა.

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲛ ᲗᲮᲐ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲐ

კანადის ქალაქ მარტენსვილდში მდებარე ერთ-ერთი კაფეს თანამშრომლები იძულებულნი გახდნენ, თხის გამო პოლიცია გამოეძახათ, რომელსაც არაფრით სურდა დაწესებულების დატოვება. დილის ოთხ საათზე ცხოველმა კარში გაიარა და შესასვლელში „დაბანაკდა“. კაფეს პერსონალი შენობიდან თხის გაყვანას შეეცადა, მოახერხეს კიდეც, მაგრამ ცხოველი ჯიუტად დაბრუნდა უკან. შესაძლოა, ის უბრალოდ გაიყინა და სითბოში დაძინება სურდა. გამოძახებაზე მისულმა სამართალდამცველებმა თხა „დაიკავეს“ და მანქანაში ჩასვეს. თუმცა, მისი მკაცრად „დასჯა“ არ უცდიათ — კამერის ნაცვლად, სახლში წაიყვანეს. პატრონის მოძებნა მაინც ვერ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელები ქალაქში ყველა ფერმერის სახლში მივიდნენ. საბოლოოდ „პატიმარი“ ვეტერინარულ კლინიკაში მოათავსეს, სადაც მოგვიანებით პატრონმა მიაკითხა.



1. ჰამლეტის დედა
2. შვიდი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
3.მედიცი-ნის დარგი, სწავლობს სისხლს
4. იგივეა, რაც მეკახშე
5. ალალ-ბედზე მოქმედება
6. მამალი ცხვარი
7. გამომ-წვარი თიხა
8.ნიკოლოზ ბარათაშვილის შინაურული სახელი
9. ხორცის შემწვარი დიდი ნაჭერი
10.ლიტერ. ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი
11. პარფიუ-მერული სითხე
12.ძვირფასი ქვების წონის ერთეული
13.ბოთლებში ჩამოსხმული ღვინის საცავი
14. ეკლესია-დან განდევნა, შერვენება
15. ქართველ-თა წმინდანი ქალი
16. ინგ-ლისელთა ტრადიციული ლუდი
17. მოკ-რძალებული, მორიდებული, მორცხვი
18. ორსული საქონელი
19. მატარე-ბლების სადგომი
20.თუშეთის ადმინის-ტრაციული ცენტრი
21.აბრეშუ-მის ჭიის საყვა-რელი ხე
22.სახალ-ხო კრება ძველ საბერძნეთში
23. სამაგიდო თამაში
24. იგივეა, რაც ვკადო-ქარი
25. პილიგრი-მობა მექაში
26.უფლის აღმნიშვნელი სიტყვა იუდა-იზმში
27.სჯულის მცოდნე მაჰ-მა-დიანებში
28. იაპონიის იმპერატორთა ტიტული
29. ცისკარას სატრფო
30. მშვენიერი ელენეს მომ-ტაცებელი
31. ცნობილი ბრიტანელი მსახიობი
32. რომეოს მიჯნური
33. სასიგნა-ლო ტივტივა წყალზე
34. ანტილო-პას სახეობა
35. საყანედ გაკაფული ტყე
36. ადიღეს დედაქალაქი
37.ცხენის ზურგზე გა-დასაფარებე-ლი ქსოვილი
38. მულტიპ-ლიკატორი ... დისნეი
39. ქართული მოკლე-მეტრაჟიანი ფილმი
40. შოტ-ლანდიელთა სახალხო გმირი
41. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში
42. საძირკველი
43.სპორტ. ფირმა
44.სულის ხუთვა ჟანგბად-ის ნაკლებობის გამო
45.ყველაზე ცივი დასახლებული ადგილი
46.ბანქოს თამაში
47.ქსტონ. კა-ლათბურთელი
48. მდინარე პრაღაში
49. სასვენი ნიშანი
50.ღვინის ქართული წარმართული ღვთაება
51. მეხიკოს სტადიონი
52. ტაილან-დის ძველი სახელწოდება
53. სქელი ფარჩა, ოქრო-ქსოვილი
54. ქართველი ფეხბურთელი
55.ქალის ქართული სახელი
56.წითელი ფერის ძვირ-ფასი ქვა
57.ხელფასის ნაწილი, გაცემული წინასწარ
58. ციხე „გრაფ მონტე-კრის-ტოში“
59. სანელე-ბელი მცენარე
60. საოჯახო ელექტრო-ხელსაწყო
61. უსინათ-ლოთა შრიფტის ავტორი
62. აფრი-კული ტომი
63.ლით. დანაყ-ოფებ. რგოლი კუთხსაზომ ხელსაწყოებში
64. კეთილი მომავლის რწმენა
65. ქართული ტელეარხი
66. დიდი ცხოველის კიდური
67. გარდამა-ვალი ვვილდო სპორტში
68. ადამის მეუღლე
69. წელიწა-დის 1/12
70.უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირი
71. საგანთა ჩამონათვალი
72. აშშ-ის ტელე-პრემია
73. მე-ტყველების ნაწილი
74. აფრი-კული ვირუსი
75. სოფელი ონის რაიონში
76. ღმერთის სახელი რას-ტაფარიანულ რელიგიაში
77. მსახიობი ... ჭანკვეტაძე
78. მუსიკალ. გამის VII ნოტი
79. ქალის ღია საშუბლე გვირგვინი
80. ალ. ბუვიეს პოპულარული რომანი
81. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
82. წამლის ბურთულა
83. ღამის ფრ-ინველი
84. სოფელი ზესტაფონის რაიონში
85. შინაური ცხოველი
86. ომის ღმერთი რომაულ მი-თოლოგიაში
87. მარადმ-წვანე ხე ან ბუჩქი

დუბაიში „თოვლის საუნას“ აწყობენ

„თოვლის საუნა“ — ახალი მოდაა დუბაის მდიდარი მაცხოვრებლებისთვის. წინდახედული საქმოსნები არაბეთის გაერთიანებული საამროების მკვიდრთ ასი ათას დოლარად სთავაზობენ, სახლის ნებისმიერი ოთახი თოვლიან ზღაპრად აქციონ. ამ ცივ საუნაში, სადაც ჰაერის ტემპერატურა -15-დან -18 გრადუსამდე მერყეობს, ნამდვილი თოვლი მოდის. კომპანიის მეთაურის განცხადებით, რომელიც „თოვლიანი საუნის“ დამონტაჟებითაა დაკავებული, უკვე სამი ასეთი „ცივი ოთახი“ მოაწყვეს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 3222942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.